პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. კ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქ. რ. ევკომის
ორგანო

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე [illegible] უქმეებისა [illegible]

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

9 დეკემბერი
პარასკევი

1917. საბჭოთა ხელისუფლების მოწოდება—ებრძოლონ კორნილოვის, კალედინის, დუტოვის კონტრრევოლიუციონურ აჯანყებებს.
დროებითი ზავის ჩამოგდება რუმინიის ფრონტზე.
1905. მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის ხრუსტალიევ-ნოსარევის დაპატიმრება.

№ 232 პარასკევი, 9 დეკემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 9 დეკემბერი, 1921 წ. № 232

თბილისის საბჭოს პირველი საზეიმო სხდომა

თბილისის მუშათა და წ. თელ-არმიელთ საბჭოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან.

თბილისის მუშათა და წითელ-არმიელთა საბჭოს პირველი საზეიმო სხდომა შესდგება შაბათს, 10 დეკემბერს დღის 4 საათზე, საოპერო თეატრის დარბაზში, საბჭოში არჩეულმა დეპუტატებმა შესაფერი მანდატები უნდა მიიღონ წინასწარ ცენტრალურ საარჩევნო კომისიისაგან. მანდატების მისაღებათ საჭიროა წარმოდგენილი იქნეს შესაფერი მოწმობა რაიონულ კომისიისაგან, სადაც ნაჩვენები უნდა იყოს თუ საიდან არის არჩეული ამხანაგი. მანდატების მიღება შეიძლება 9 დეკემბერს დღის 2 საათიდან საღამოს 7 საათამდე, და 10-ს, დილის 9 საათ. დღის 4 საათამდე,—საარჩევნო კომისიაში (მუშათა სასახლე, პირველი სართული, კულტ-განყოფილება).

კომისიის მდივანი გ. ყურულაშვილი.

მშრომელთა პირველი ციხე-სიმაგრე

თბილისის პროლეტარიატმა თავისი წითელი საბჭო შექმნა. ეს საბჭო თბილისის პროლეტარიატის ძალა-უფლების ორგანო შეიქნება. ამით მან მოიპოვა ის, რისთვისაც ოთხი წელიწადი იბრძოდა და სისხლს ღვრიდა.

ოთხი წელიწადი ელოდა მის აშენებას თბილისის პროლეტარიატი. ოთხი წელიწადი იბრძოდა მის მოსაპოებლათ.

მებრძოლ კომუნისტების ძვლებია მოქცეული მის ბალავერში, ცემენტის და კირის მაგიერ—მუშების და გლეხების სისხლით შელესილია მისი მკვიდრი კედლები.

ალექსანდრეს სახელობის ბაღში დატრიალებულ ტრაღედიით დაწყებული, საქართველოს თითქმის ყველა მაზრებში დანთებულ სახალხო აჯანყებებით გაგრძელებული, შემდეგ დაუსრულებელი ტყვეობით და ეტაპებით გაყოლებული, დაბოლოს წითელი ბანაკის შეტევით, შავ-ყვითელ ბანაკის განადგურებით—საქართველოს მშრომელნი ოთხი წლის განმავლობაში სულდგმულობდენ იმედით და მტკიცე რწმენით, რომ ისინიც ეღირსებიან ოქტომბრის რევოლიუციის მაცოცხლებელ სხივების სითბოს.

ძველი, აშმორებული ქვეყნის მგლები და მათი ამყოლი ტურა-მელები, მშრომელთა სისხლში ტორებ ამოვლებულნი, მსუნაგათ აცმაცუნებდენ ტუჩებს და გაჰკიოდენ: ქართველი მშრომელი ხალხი განიკურნა ბოლშევიზმისაგან, ის ზურგს აქცევს და ახლოს არ იკარებს საბჭოთა ხელისუფლებასო.

თბილისის საბჭოს არჩევნები—საბოლოო და მკაფიო პასუხია. თბილისის პროლეტარიატი ისე განიკურნა ბოლშევიზმისაგან, რომ არც ერთი მტერი და მოწინააღმდეგე საბჭოთა ხელისუფლებისა არ შეუშვა თავის პირველ, წითელ საბჭოში.

არ გააჭაჭანა იქ არც ერთი იმათგანი, ვინც ბრაზით სავსეა მშრომელთა გამარჯვების გამო, ვინც ცდილობს საბჭოთა ხელისუფლების აფეთქებას შიგნიდან, ვინც უხმობს ველური იმპერიალიზმის ურდოებს საბჭოთა საქართველოს დასანგრევათ' ვინც მოწადინებულია მშრომელთა ცხოვრება არივ-დარიოს, გააუარესოს. რათა მუშურ-გლეხური ძალაუფლება შეაძულოს ხალხის ფართო მასსებს.

თბილისის პირველ წითელ საბჭოში თავთავიანთ პოსტებს დაიჭერენ ისინი, ვინც მთელ თავის უნარს, ენერგიას, შრომას და ბრძოლას მოანდომებენ მშრომელთა საქმის გამარჯვებას. ვინც უხელმძღვანელებს მასსებს სამეურნეო ფრონტზე, ვინც დარაზმავს მათ საბრძოლველათ მოსალოდნელ სისხლიან ფრონტზე.

მშრომელთა დიქტატურის დაცვა და ეკონომიური საქმიანობის გაჩაღება—აი რას დაისახავს თბილისის მშრომელთა საბჭო თავის მუშაობის და ბრძოლის უმთავრეს საგნათ.

ის გახდება თბილისის პროლეტარიატის არა მარტო რევოლიუციურ პარლამენტათ, ის გადაიქცევა მის მომქმედ, მომუშავე ორგანოთ. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი, თუ ქუჩის შეკეთება, ანტანტას და მის ლაქიების წინააღმდეგ თავდაცვითი ბრძოლის მოწყობა' თუ შკოლების გამრავლება-გაუმჯობესება—ყველა ეს იქნება მისი საქმიანობის საგანი.

თბილისის პროლეტარიატი იბატონებს თავისი საბჭოს საშუალებით, ის გახდება კანონმდებელი.

გაუმარჯოს თბილისის პროლეტარიატის ძალაუფლების ორგანოს!

გაუმარჯოს საქართველოს მშრომელთა პირველ, წითელ ციხე-სიმაგრეს!

გაკოტრებული ავანტიურისტები

ჩვენ მოგახსენებთ მენშევიკებზე და მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტებზე.

თებერვლის გადატრიალებამ დასცა მათი ბატონობა და მასთან ერთათ ბოლო მოეღო როგორც შინაურ, ისე გარეშე კონტრ-რევოლიუციის გავლენასა და მუშაობას საქართველოში. ამას ვერ შერიგებოდნენ ეს პარტიები და მათთან ერთად ის ძალები, რომლებიც ზურგს უმაგრებდნენ მათ ბატონობას. ესენი იყვნენ მუშათა არისტოკრატია და პროფკავშირების ბიუროკრატია, საქართველოს სპეკულიატიური ბურჟუაზია და უცხოეთის იმპერიალისტები. ყველა ამ ძალების კლასობრივი მიზნების „აღმასრულებელ კომიტეტათ“ შეიქნა ჩვენებური მენშევიკები, რომლებსაც უკან მისჩანჩალებდნენ აქაურივე სოციალისტ-ფედერალისტები. მათი ყოველივე ბატონობის აღდგენაში დაინტერესებული არიან ხსენებული ძალები და მათი აქტიური დახმარებით სცილობენ ისინი თავის დაღუპული საქმეების გამოსწორებას. სამზღვარ-გარეთიდან ამ საქმეს „აჭახრაკებენ“ იქ გაქცეული მენშევიკური მთავრობის წევრები და მათი ამხანაგები იმპერიალისტური რეაქციის ლიგის დახმარებით, ხოლო საქართველოში ამავე საქმეს ემსახურებიან გაქცეულების კარნახითა და ხელმძღვანელობით აქ შემორჩენილი მათი აგენტები, მენშევიკები და მემარჯვენე ფედერალისტები. დღიდან თებერვლის გადატრიალებისა ისინი ჩაებენ ფარულ მუშაობაში მშრომელთა ძირის გამოსათხრელათ და დღემდე აწარმოებენ მას. საქართველოს საგანგებო კომისიის განცხადება, რომელიც ამ დღეებში დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში ფარდას ხდის მათ „მოღვაწეობას“ და აფრთხილებს საქართველოს მუშებსა და გლეხებს მათ წინააღმდეგ. უდავო ფაქტია, რომ ისინი ძალაუფლების დაბრუნების მიზნით აწარმოებენ არალეგალურ მუშაობას, იღებენ დირექტივებს, მატერიალურ საღსარს და სათანადო ლიტერატურას საზღვარგარეთ გაქცეულ თავის ბელადებისაგან; მშრომელთა წინააღმდეგ, მათი რევოლიუციონური მთავრობისა და პარტიის წინააღმდეგ აჯანყების მზადებაში არიან. როგორც საგანგებო კომისიის მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან სჩანს, მათ უცხოეთიდან ნაბძანები აქვთ არალეგალური ორგანიზაციების აღდგენა, საბჭოთა დაწესებულებებში გამაგრება, მომზადება ძალაუფლების დასაპყრობათ. ეცნობიან ჯარის ნაწილების ადგილ—ყოფნას, რომელ მუშაობას აწარმოებს მემარჯვენე ფედერალისტის მეთაურობით სპეციალური ორგანო „შავ კაბინეტათ“ წოდებული, ჰკრებენ იარაღს, უკავშირდებიან მთებში გავარდნილ ყაჩაღთა ბრბოებს, აგროვებ ფულებს ბურჟუაზიისა და თანამგრძნობთაგან. მათ მიერვე განძრახული იყო რკინის გზელების გამოსვლა და მთელი რიგი გაფიცვათა, რომლებიც დამარცხებით დათავდენ, რადგან მუშათა მასსები საკადრისათ შეხვდენ ამ მოსყიდულთა მუხანათურ მოქმედებას, რომლის უახლოესი შედეგი უნდა ყოფილიყო რევოლიუციონური წესრიგის აფორიაქება, ისედაც ჯერ კიდევ მოუწყობელი მეურნეობის დარღვევა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ანარქიის შეტანა, მუშათა ისედაც მძიმე მდგომარეობის კვლავ გაუარესება და გართულება, რომელზედაც მათ ხელი უნდა მოეთბოთ, პარტიულ-პოლიტიკური კაპიტალი უნდა შეეძინათ. ობიექტიურათ მათი „ძრომილი“ მიმართულია მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ, ეს კარგათ შეგნებული აქვთ მათ და ბუნებრივია, რომ გასაქანს არ აძლევენ ამ ავანტიურისტებს. ნოემბრის გამოსვლით და დამარცხებით მათ საბოლოოთ გამოააშკარავეს, და იმავე დროს დაასამარეს, მუშათა მასების თვალში თავისი ჭეშმარიტი ბუნება. საქართველოს საგანგებო კომისიამ, მოწოდებულმა კონტრ-რევოლიუციასთან საბრძოლველათ, ხელი დაადო ამ შავბნელ ავანტიურისტების ორგანოებს და შესაფერის, საიმედო ადგილას შემოინახა მათი აქტიორები. საქართველოში შემორჩენილი მტრები ხალხის, მისი რეჟიმისა და მთავრობის მტრები რევოლიუციის იარაღის ხმარებაზე გადადიან, სამხედრო ავანტიურის გზაზე შემდგარან, რევოლიუციონური დიქტატურის რკინის ხელი დაეშვება მათ თავზე და უზრუნველ ჰყოფს რევოლიუციის მონაპოვართ მათი გამოსვლებისაგან. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მუშები და გლეხკაცობა დაეხმარება თავიანთ მთავრობას მათი „მოღვაწეობის“ აღკვეთაში, ისევე როგორც ამ დახმარების მაგალითი მოგვცეს მათ ამ ერთი თვის წინეთ. რევოლიუციონური მთავრობა შეასრულებს თავის მოვალეობას ხალხის მიმართ, ხალხი—თავის ვალდებულებას მთავრობის მიმართ. ყველა ერთათ გამანადგურებელ რისხვათ თავზე დაატყდება რევოლიუციის მოღალატეთ.

კაპიტალიზმის სამეფოებში

იტალია

რუსეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობა.

რომი, 6 დეკემბერი. (რადიო). იტალიის მთავრობის რადიო იტყობინება: სენატორმა ხვიუმმა ვაშინგტონის კონფერენციაზე მოსთხოვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ფორმალური განცხადება იმის შესახებ, რომ მათ მთავრობების მხრივ არ იქნება მიღებული რაიმე ზომები, რუსეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობის საწინააღმდეგოდ.

ავსტრია

გაფიცვა ვენაში.

ნაუენი, 6 დეკემბერი (რადიო). ვენის გაფიცვამ, რომელიც გამოწვეულია სურსათის მწვავე სიძვირით, გრძელდება. გაფიცვას მიემხრენ ვენის და განაპირა ადგილების მუშები და მოსამსახურეები.

შვეცია

ბინის კრიზისი.

მოსკოვი, 7 დეკემბერი. (რადიო). სკოკგოლმში, ძლიერ მწვავდება ბინის საკითხი, რომელიც დაკავშირებულია გამწვავებულ უმუშევრობის საკითხთან შვეციაში, სადაც 100,000 კაცზე მეტი უმუშევარი ითვლება. უმუშევრებს ასობით უხდება ცის ქვეშ ყოფნა. სატახტო ქალაქის ღამის თავშესაფარები საშინელ პირობებში იმყოფებიან. უმუშევართა მრავალრიცხოვან კრებამ მოითხოვა ღამის თავშესაფარზე კონტროლის დაწესება უმუშევართა კავშირის მხრივ, დაუყონებლივ ფასის დაკლება ღამის გათევაში და ახალ თავშესაფარების აგება.

ბელგია

მუშათა კონტროლი.

პარიზი. 6 დეკემბერი. (რადიო). ბრიუსელის სოციალისტთა ყრილობაზე გამოიტანეს დადგენილება, რომლის თანახმად სოციალისტური პარტიები შესასვლელად მთავრობის შემადგენლობაში შემდეგ პირობებს აყენებენ: 1. მუშათა კონტროლის დაწესება, 2. ქვა-ნახშირის მადნების სოციალიზაციას, 3. სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადის შემოკლება 6 თვემდე და 4. საფინანსო პროგრამის გადასინჯვა.

ამერიკა

შეთანხმდენ არ განიარაღდენ.

მოსკოვი, 7 დეკემბერი. (რადიო). „მორნინგ პოსტ“-ის ვაშინგტონელ კორესპონდენტის ცნობით ინგლისის და შეერთებულ შტატების დელეგატები შეთანხმდენ, რომ დიდ საომარ სამხედრო გემების აშენების 10 წლით გადადება ვერ განხორციელდება, ვინაიდან ასეთი შეწყვეტა შეიტანდა დიდ ცვლილებებს არსებულ საზღვაო ძალთა ფაქტიურ მდგომარეობაში.

იაპონია

დელიკატური მდგომარეობა.

მოსკოვი, 7 დეკემბერი. (რადიო), ლონდონიდან მოსულ ცნობით ადმირალ კატოს ოფიციალურად განუცხადებია კონფერენციაზე, რომ იაპონია მოითხოვს თავის ფლოტის ისეთ პროპორციას ამერიკის ან ინგლისის ფლოტთან, როგორიც არსებობს 7-სა და 10 შორის. კატოს განცხადებამ როგორც ოფიციალურ ვაშინგტონის წრეებში ამბობენ შეუქმნია „თავაზიანი მდგომარეობა“. „დეილ მელის“ სიტყვით იაპონიის ჯიუტობა გამოიწვევს მთელ კონფერენციის ჩაშლას.

იაპონიის მოთხოვნილება.

ბორდო. 6 დეკემბერი (რადიო). ვაშინგტონიდან ტელეგრაფით მიღებულ ცნობებით იაპონიის წარმომადგენლებს თანხმობა განუცხადებია საზღვაო შეიარაღების შემცირებაზე იმ შემთხვევაში თუ დიდი სახელმწიფოები ომის დაწყების 6 თვით ადრე გააფრთხილებენ. იაპონიას ამ ჟამად არ ეშინია ომის ჩრდილო ამერიკის შტატებთან, მაგრამ მაინც შეიარაღებულ კონფლიქტის შესაძლებლობა წარმოსადგენია, იმ მტრულ კომპანიის გამო, რომელსაც აწარმოებს დასავლეთი ამერიკა იაპონიის წინააღმდეგ. თუ ამ კონფლიქტს ნამდვილად ექნა ადგილი, მაშინ იაპონია თხოულობს 6 თვით ვადის გაგრძელებას, რომ მოემზადოს ომისთვის. ვაშინგტონის პრესის ცნობით ადმირალ კატოს, ბალფურსა და ხიუგს შორის მომხდარა შეთანხმება, რომლითაც იაპონია ამცირებს თავის საზღვაო შეიარაღებას და მასთან ერთად ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები თავის მხრივ პირობასა სდებს არ გაამაგროს წყნარი ოკეანეს ნაპირები.

საფრანგეთი

იტალია თანახმაა საფრანგეთი კი უარზეა.

მოსკოვი, 7 დეკემბერი. (რადიო). „დეილ გეროლდი“ იტყობინება, რომ იტალია თანახმაა საჯავშნო ფლოტის ნორმაზე რომელსაც მას უთმობენ; სამაგიეროდ საფრანგეთს არ სურს ამ მხრივ იცნოს რაიმე შეზღუდვა. სხვა გაზეთები კი ამ ცნობას არ ადასტურებენ. „ვესტმინსტერ გაზეთ“-ი მეთაურში ჰკიცხავს რა საფრანგეთის პოზიციას საზღვაო ძალთა განიარაღების საკითხში, აღნიშნავს, რომ საფრანგეთის საზღვაო პოლიტიკა, რომელიც ეწინააღმდეგება როგორც ინგლისისა ისე შეერთებულ შტატებისას სურვილებს აუცილებლად გამოიწვევს ანტანტის დამხობას.

არჩევნები თბილისის საბჭოში

მედიკო-სანიტარულ მუშაკთა კავშირი

7 დეკემბერს სახელმწიფო ოპერის თეატრში შესდგა მედიკო-სანიტარულ დარგში მომუშავეთა კავშირის საერთო კრება. დაესწრო 1600 კავშირის წევრი. მოხსენებებით თბილისის საბჭოს არჩევნების შესახებ გამოვიდნენ ამხ. ყურულაშვილი, ორახელაშვილი, თ. ღლონტი და მიხაილოვი. კამათში მონაწილეობა მიიღეს მემარჯვენე ფედერალისტების და მენშევიკების წარმომადგენლებმა, სამრეწველო დარგების მუშათა კრებებზე ესენი ვერ ბედავდენ ბოიკოტზე კრინტის დაძვრას, მუშები სიცილით დახვრეტდენ მათ, აქ კი „ღრმათ“ დაასაბუთეს ბოიკოტი. საქართველოს უცხო ელემენტები იღებენ არჩევნებში მონაწილეობასო! თვით ბურჟუაზია საარჩევნო უფლების მოსაპოებლათ კმაყოფილდებოდა ბინადრობის ცენზით—ვინც ერთ წელიწადს სცხოვრობდა რომელიმე ადგილას, მას ანიჭებდა საარჩევნო უფლებას. ჩვენებური საბოლოოდ გახრწნილი „სოციალისტები“ კი ხელაღებით უარჰყოფენ „ინოროდცების“ საარჩევნო უფლებას მუშათა საბჭოში! უარჰყოფენ, მარა საცოდავ და სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან: 1600 დამსწრეთაგან მხოლოდ 5 (მხოლოდ ხუთი!) გაჰყვა ბოიკოტის მქადაგებელთ. დანარჩენებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში. კომუნისტური ფრაქციის სია, რომელშიაც შედიოდა 6 კომუნისტი, 2 მემარცხენე სოც.-ფედერალისტი და 2 უპარტიო, თითქმის ერთხმად იქნა მიღებული, წინააღმდეგ 12 მისცა ხმა, თავი შეიკავა 8.

კრება დაიშალა „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

საქართველოს წითელ ლაშქარში.

დეპუტატების არჩევნები თბილისის საბჭოში ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლის, სამხედრო სკოლების და საყოველთაო სამხედრო სწავლების მმართველობის შეერთებულ საზოგადო კრებაზე. კრებას დაესწრო მთელი პირადი შემადგენლობა აღნიშნულ დაწესებულებათა დარბაზი სავსე იყო კურსანტებით, წითელ არმიელებით და თანამშრომლებით, რიცხვით 700 კაცამდე. თუ მხედველობაში მივიღებთ, იმ განსაკუთრებულ ყურადღებას, რომლითაც ისმენდნენ დამსწრენი მომხსენებელ ამხ. დანელიას სიტყვას, რომელიც შეეხებოდა მიმდინარე მომენტს და ტფილისის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს მნიშვნელობას, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და ცხოვრებაში ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გატარებას, შეიძლება ითქვას, რომ დამსწრენი მეტად დაინტერესებული არიან მიმდინარე ამბებით და შეგნებულად ეკიდებიან თავიანთ წარმომადგენლების არჩევნებს, რათა უკანასკნელნი იყვნენ შესაფერისნი მშრომელი ხალხის ინტერესების ცხოვრებაში გატარებისათვის. კანდიდატთა სია, რომელიც წამოყენებულ იქმნა კომუნისტურ პარტიის იაჩეიკის მიერ, შესდგებოდა სამ პირისაგან: 1) სამხედრო და საზღვაო კომისარი—ამხ. ელიავა 6., 2 ქართულ კურსანტების შეერთებული სამხედრო სკოლის უფროსის და კომისარი—ამხ. დანელია და 3) უფროს კურსის კურსანტი—კაჭარავასაგან. სია ერთხმად იქმნა მიღებულ-დამტკიცებული. ამხ. ელიავა იქმნა არჩეული ტფილისის საბჭოში, როგორც საპატიო წარმომადგენელი.

სახალხო კვების კავშირი.

სახალხო კვების კავშირის მუშებისა და მოსამსახურეების კრებამ, რომელსაც დაესწრო 318 კაცი ერთხმად აირჩია შემდეგი დეპუტატები:

1. ტაბიძე—მუშა, სახალხო კვების კავშირის გამგეობის და საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრი.
2. დავლიანიძე—მუშა, სახალხო კვების კავშირის გამგეობისა და საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრი.
3. ქსენია იოსელიანი—ქალთა შორის ორგანიზ. მუშაკი, უპარტიო.

ელექტრონის სადგურები, წყალსადენი, მებაღეები და დალაქები.

ქალაქის ყველა ელექტრონის სადგურების, წყალსადენის სახელოსნოების მუშების და მოსამსახურეების, მებაღეებისა და დალაქების საერთო კრებამ, რიცხვით 234 კაცმა, ერთხმად აირჩია შემდეგი დეპუტატები:

1. დავით მარიამიძე—ქალაქის ელექტრონის სადგურის მუშა, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრი.
2. ნიკოლოზ კიკნაძე—სახალხო მეურნეობის საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრი.
3. ალექს. დევდარიანი—მუშა, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრი.
4. სიმონ აფანასიევი—მუშა, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრი.

საავადმყოფოები.

მიხეილის, ალექსანდრეს და ფსიქიატრიულ საავადმყოფოების მუშებისა და მოსამსახურეების შეერთებულმა კრებამ, რიცხვით 152 კაცმა, ერთხმად აირჩია შემდეგი დეპუტატები:

1. გალაქტიონ ნუცუბიძე—მედიკო-სანიტარული კავშირის გამგეობის და საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრი.
2. პელაგია თარხანოვა—საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიონის წევრი.

არსენალი

არსენალის, არსენალის საწყობის და არსენალის საინჟინრო საწყობის მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებამ—594 კაცმა—ერთხმად აირჩია შემდეგი დეპუტატები:

1) სერგო ბოჭორიშვილი—მუშა, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრი.
2) ბაგრატ მაჩაიძე—მუშა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრი.
3) სიმონ სხირტლაძე—მუშა, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრი.
4) იასონ შავლაძე—საქართ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრი.
5 ბორის დამენტიევი—სამხედრო კომისარი.

კანდიდატად არჩეულია: იოსებ უსოვი—უპარტიო მუშა.

მილიცია, საბაჟო, აბრეშუმის სადგური და ცარცის ქარხანა.

მუშა გლეხთა მილიციის მე 8, 9, 10 და 12 კომისარიატების, აბრეშუმის სადგურისა, საბაჟოსა, აბრეშუმის საქსოვ სახელოსნოების და ცარცის ქარხნის მუშებისა და მოსამსახურეების შეერთებულმა კრებამ—248 კაც. გაიყვანა შემდეგი დეპუტატები:

1) გიორგი მონიავა—მუშა, მე 12 კომის. უმცროსი მილიციონერი, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიონის წევრი.
2) ამბროსი ასრიევი—მე-9 კომისარიატის უმცროსი მილიციონერი, უპარტიო.

ქრონიკა

◆ **წითელ აჭარაში.** ბათომში დამთავრებულა აჭარისტანის ხოჯების ყრილობა. ყრილობას მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნია საქართველოს საბჭოთა მთავრობის და ამხ. ლენინის სახელზე. აურჩევიათ აჭარისტანის უმმფთი,—წინეთ სტამბოლში უნდა მიმართონ ხოლმე. ყრილობას ნაყოფიერათ ჩაუვლია. დაწვრილებითი ანგარიში შემდეგ.

◆ **ახალი გაზეთი.** სახელმწიფო გამომცემლობა ა. წ. 12 დეკემბრიდან დაიწყებს ქ. ტფილისში გაზეთის გამოცემას სათაურით: „სავაჭრო-სამრეწველო მოამბე და ტფილისის განცხადებები“ რომელშიაც მიიღებენ ფასით ნიხრის მიხედვით, ყოველ-გვარ განცხადებებს, როგორიცაა: 1) ოფიციალური განცხადებები სახალხო კომიტეტებისა და დაწესებულებებისაგან. 2) სათეატრო და კინო განცხადებები. 3) სამგლოვიარო განცხადებები. 4) საექიმო და კერძო სხვა და სხვა საკომერციო საკითხებისათვის. 5) იმ პირთათვის' რომლებიც ეძებენ სამუშაოს, განცხადებებში მინიმალური ფასის გადახდით. 6) შესაკრებელი და შესამოწმებელი ცნობები სარკინიგზო და საგემომავლო მოძრაობათა და საქონელისა და პროდუქტებზე საბაზრო ფასების შესახებ. 7) ცნობები ყოველ-დღიური შემთხვევათა და ამბების შესახებ და სხ. ცნობების მიღება სახელმწიფო გამომცემლობაში ლორის-მელიქოვის ქუჩა.

◆ **აბანოების ბარათებით სარგებლობის სისტემა.** კომუნალურ მეურნეობის კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე დაადგინეს გამოიმუშავონ ბარათების ნიმუში აბანოებით სარგებლობისათვის. ბარათში აღინიშნება გვარი და სახელი, კავშირის სახელწოდება, სამსახურის ადგილი, ადამიანთა რიცხვი, წლოვანება და საწევრო წიგნაკის ნომერი. ერთ გვერდზე იქნება აბანოებით სარგებლობის წესი, მეორეზე კი მოსაჭრელი კუპონები. ბარათების დასაბეჭდი ხარჯი უნდა იკისროს თვითეულმა კავშირმა. ბარათებით სარგებლობის სისტემა შემოღებულ იქნება 15 დეკემბრიდან. ამ დღიდან საწევრო წიგნაკით აბანოთი სარგებლობა გაუქმებულია.

◆ **საავადმყოფო მუშებისათვის.** საერთო-საქალაქო დამზღვევმა კასამ იმის გამო, რომ მის მიერ არსებულ ქალაქის საავადმყოფოებში გაგზავნილ მუშებს ხშირად უარს ეუბნებიან ადგილის უქონლობის გამო, თავის განკარგულებაში მიიღო ალექსანდრეს საავადმყოფო და აწყობს მას, მხოლოდ თავის ავადმყოფ მუშების საჭიროებისათვის. მასში 209-დე საწოლია, სადაც მოთავსებულ იქნებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშები, რომელთაც ესაჭიროებათ საავადმყოფოს მკურნალობა. ამ საავადმყოფოში მათი მკურნალობისთვის მიწვეულნი არიან მასში არსებულ საექიმო პერსონალისადმი დასახმარებლათ საუკეთესო სამედიცინო ძალები ქ. თბილისის უნივერსიტეტიდან და სხვა და სხვა სნეულებათა სპეციალისტები.

◆ **სტუდენტთა აგრონომიულ წრეში.** კვირას, 11 დეკემბერს დილის 11 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორია № 15-ში სტუდენტები დაახასიათებენ—**მებაღეობას ქართლში და იქ გავრცელებულ ვაშლის და მსხლის ჯიშებს.** წარმოდგენილი იქნება ამისათვის საჭირო საკმაოთ სრული პომოლოგიური კოლეკცია. კრებას დაესწრებიან ამ დარგში ცნობილი სპეციალისტებიც. დასწრება ყველასთვის უფასოა და თავისუფალი.

◆ **მოწაფეთა კონცერტი.** შაბათს 10 დეკემბერს პირველი სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 8) გაიმართება მოწაფეთა მეორე კონცერტი.

◆ **შრომის განყოფილებების ყრილობა.** შრომის კომისარიატი 15 დეკემბრისათვის იწვევს შრომის განყოფილებათა გამგეების ყრილობას.

◆ **მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივში ჩაწერა.** კოოპერატივში 2 დეკემბერს ჩაწერილთა რიცხვი აღემატებოდა 20,000 კაცს. ჩაწერის მსურველთა სიები კიდევ შემოდის.

სრულიად საქართველოს სახალხო განათლების და პოლიტგანათლების განყოფილ. მეორე ყრილობა

ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენება

სოციალური აღზრდის განყოფილების სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. მარო ორახელაშვილისა.

ჩვენს მიზანს შეადგენდა—ამბობს ამხ. ორახელაშვილისა—ერთის მხრით სახალხო განათლების მთელ მუშაობისათვის თავი მოგვეყარა განათლების კომისარიატში, მეორეს მხრით გამოგვეძებნა ახალი სისტემები და მიღწევანი სახალხო განათლების სფეროში. რევოლიუციის პირველ დღეებშივე უარყოფილ იქნა ძველი სკოლის სისტემა. უნდა გვეშენებია ხელახლა და თავიდან. კაპიტალისტური სისტემა ბავშვებს უყურადღებოთ, უმეთვალყურეოთ სტოვებდა.

ეს შეეხება მუშებსაც და ინტელიგენციასაც. კაპიტალიზმის შედეგების მოსასპობად მთელი მუშაობის სიმძიმე აწევს ახალ თაობას.

აი რისთვის არის მნიშვნელოვანი ამ ახალი თაობის ახალ საფუძვლებზე აღზრდის საქმე. სკოლა მჭიდროთ დაკავშირებული უნდა იქნას ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან, საჭიროა დამკვიდრდეს შრომის ორგანიზაციის, დაწესებულებისა და სკოლის კავშირი. სახალხო განათლების საქმე არ შეიძლება დანაწილდეს, დაიქსაქსოს. ჩვენ დაუშვებლად მივიჩნიეთ ჯგუფური მეცადინეობა ფასით, როგორც სკოლაში, ისე კერძო ბინაზე.

არც კოოპერატიულ, არც კერძო სკოლებს ჩვენ აგრეთვე არ დაუშვებთ. სკოლების გარდა საჭიროა ფართედ იქნას მოწყობილი სკოლის გარეშე მეცადინეობა: უნდა გაიხსნას კლუბები, წრეები და სხვა.

ჩვენ არ შეგვიძლიან დაუშვათ 3-4 თვის კანიკულები, რომლის განმავლობაშიც ბავშვებს ავიწყდებათ, რაც ზამთარში შეითვისეს.

ამ რვა თვის განმავლობაში ბევრი რამ ვერ გავაკეთეთ, ჩვენ არ გვქონდა გეგმა, არ გვქონდა ცნობები. მოკლებული ვიყოთ მატერიალურ ბაზას. ჩვენ შევქმენით ცოტა, მაგრამ ვცდილობდით გაგვეუმჯობესებია გახსნილ საბავშვო დაწესებულებანი. ეხლა ყოველ მაზრას უნდა ჰქონდეს ყველა ცნობები სოციალურ აღზრდის შესახებ და სამუშაოთა გეგმა 1922 წლისთვის. სკოლათა რიცხვი საკმაო არაა: მარტო თბილისში 13 ათასი ბავშვია სკოლის გარეთ დარჩენილი. 1922 წ. ჩვენ ვერ მოვახერხებთ ახალი სკოლების გახსნას. მაგრამ შესაძლებელია კოლლექტივი შრომის უკვე არსებულ სკოლებში ორ წყებათ მეცადინეობის შემოღება. არიან აგრეთვე ჩამორჩენილი ბავშვები. ამ გვარ ბავშვებისთვის მოგვიხდება ახალი სკოლების გახსნა. დეფექტებიან ბავშვებთან მეცადინეობა სრულებით არ წარმოებულა დღემდის. მორალურათ და ფიზიკურათ დეფექტიან ბავშვების გასწორების სფეროში ძაან ცოტაა გაკეთებული. წინანდელ დროში მათზე მოქმედებდნენ სასტიკ რეპრესიებით.

საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა გამოიყვანოს ციხეებიდან ხელახლა აღსადგენათ. მორალურათ დეფექტიან ბავშვებისათვის ავჭალაში გახსნილია ახალშენი.

ეს მნიშვნელოვანი მუშაობა ჯერჯერობით მარტო თბილისში და მის მიდამოებში სწარმოებს, მაგრამ უნდა სწარმოებდეს კი მთელ საქართველოში. სკოლების ნაციონალიზაცია გატარდა ჩქარა და კარგად. მაგრამ ბავშვები შიმშილობენ ქართულ საბავშვო ლიტერატურის უქონლობის გამო. შემოღებულ უნდა იქნას გარკვეული აღნუსხვა საბავშვო გამოცემათა. ამჟამად გამოდის ორი ჟურნალი, ზღაპრები, და მთელი რიგი კრებულებისა, მაგრამ ამ ლიტერატურას ჯერ-ჯერობით არსად არა ვგზავნით, სანამ გამომუშავებელი არ იქნება განაწილების გეგმა. რომ სოციალური აღზრდის მთელი გეგმა განხორციელდეს, საჭიროა სისტემატიური მოქმედება. საჭიროა რესურსების მაქსიმალური ეკონომია, რომ სოციალური აღზრდის აპარატიდან შევქმნათ სწორი და ნამდვილი მექანიზმი.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა შესაძლებლათ ხდის ადგილობრივ დაწესებულებათა საფინანსო უზრუნველყოფას მცხოვრებლებზე ფულის გაწერის გზით.

ჩვენი მიზანია აგრეთვე სამსახური გავუწიოთ უკვე არსებულ სკოლებს პედაგოგებით, სადაც ისინი ნაკლებათ არიან. ამიტომ ტეხნიკუმებში, ჯერჯერობით მარტო თბილისსაში, გაიხსნა განსაკუთრებული განყოფილებანი მასწავლებელთა მოსამზადებლათ ამ დღეებში გაიხსნება სკოლამდე განათლებისა და ინსტრუქტორ ორგანიზატორების კურსები. ჯერ-ჯერობით ჩვენი შრომის სკოლები არ არის იდეალური. მაგრამ ჩვენ ამ სკოლებს კონტროლი უნდა გავუწიოთ და უარვყოთ ყოველივე ზედმეტი, სანამ არ შევქმნით პოლიტეხნიკურ შრომის სოციალურ სკოლას.

ჯერ-ჯერობით ჩვენ გვინდა შევქმნათ რამდენიმე საცდელ მაჩვენებელი დაწესებულებანი: მთავარ სოციალურ აღზრდის განყოფილებასთან ეწყობა მეცნიერულ-პედაგოგიური სექცია. ჩვენ უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ—ამბობს ამხ. მ. ორახელაშვილისა,—განათლების მუშაკთა მატერიალურსა და უფლებრივს მდგომარეობას. ჩვენი მდგომარეობა როგორღაც გამოურკვეველია: არა გვაქვს ფონდი, ტარიფი და სხვ.. ამ მდგომარეობაში დარჩენა ყოვლად შეუძლებელია. მთავარ სოციალურ-აღზრდის განყოფილების მიზანია დაადასტუროს მიმდინარე ყრილობაზე, რომ განათლების მუშაკები ჩაყენებულ უნდა იქმნან პასუხისმგებელ მუშაკთა პირობებში.

მოხსენების დასრულებისას ამხ. ორახელაშვილისა აღნიშნავს, რომ მიუხედავად ცუდი პირობებისა ცენტრმაც და პროვინციამაც ჩინებულათ მოახერხეს ორგანიზაციის მოწყობა.

მოხსენების შემდეგ გამოდიან რამდენიმე წარმომადგენელნი ადგილებიდან, რომელნიც აღწერენ მასწავლებელთა მდგომარეობას ამჟამად.

ამხ. კანდელაკი იძლევა განმარტებას ზოგიერთ დელეგატების მიერ მიცემულ კითხვებზე.

მუშათა კოოპერატივების წარმომადგ. ყრილობა

27 ნოემბრის საბოლოო სხდომაზე ყრილობამ მიიღო პრეზიდიუმის მიერ შემუშავებული რეზოლიუციები მოსმენილ მოხსენებათა გამო.

რეზოლიუციები.

ადგილებიდან მოხსენებების გამო.

„მოისმინა რა მოხსენებები ადგილებიდან, საქართველოს მუშკოოპების ყრილობა აღნიშნავს თითქმის ყველა რაიონების მხნე საორგანიზაციო მუშაობას, ამასთანავე აღნიშნავს, რომ რაიონების ამოცანათა ფართე განხორციელებას ხელს უშლის სნქონლისა და ფულის ფონდების ნაკლებობა, ტრანსპორტის მოუწყობლობა, წესიერ, ყველასათვის ერთნაირ ანგარიშების უქონლობა და სარაიონო მუშკოოპებ შორის სუსტი კავშირი. ყრილობა გამოსთქვამს სურვილს, რომ სასწრაფოდ იქმნას შუამდგომლობა აღძრული საქართველოს რევკომის წინაშე ფონდის დაარსების შესახებ მუშკოოპებისთვის სესხის მისაცემად ფულად და საქონლით და ეთხოვოს თბილისის მუშათა მთლიან კოოპერატივს ადგილებზე ინსტრუქტორების საშუალებით მოაწყოს ანგარიშის წარმოება და შინაგანი წესრიგი პრაქტიკულ და საორგანიზაციო მუშაობისათვის.

კოოპერატივების მმართველობის მოქმედების შესახებ მოხსენების გამო.

„მოისმინა რა ამხ. მელჩარსკის საინფორმაციო მოხსენება კოოპერაციის მმართველობისა და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა შესახებ კოოპერაციის მიმართ, მუშათა კოოპერატივების რწმუნებულთა ყრილობა იწონებს მის საკოოპერაციო პოლიტიკას აღორძინების სფეროში. რწმუნებულთა ყრილობა გამოსთქვამს იმედს, რომ სათანადო სახელმწიფო ორგანოები შემდეგშიაც აქტიურად შეუწყობენ ხელს მუშათა კოოპერაციის განმტკიცებასა და განვითარებას".

მუშათა კოოპერაციის ამოცანათა და მის აღმშენებლობის შესახებ.

„მოისმინა რა მოხსენება მუშათა კოოპერაციის ამოცანათა და საორგანიზაციო აღმშენებლობის შესახებ, საქართველოს მუშათა კოოპერატივების რწმუნებულთა ყრილობა ესალმება მუშათა კოოპერაციის გამოსვლის პირველ ნაბიჯს, მოუწოდებს ადგილებს ენერგიულ საორგანიზაციო მოქმედებისათვის მუშათა მასების სავსებით ჩასაბმელად საკოოპერაციო აღმშენებლობაში და საბჭოთა საქართველოს სამეურნეო სისტემის გასამაგრებლად.

სცნობს რა მისაღებად საორგანიზაციო საკითხში წამოყენებულ თეზისებს და იღებს რა მათ მუშათა კოოპერაციის აღმშენებლობის საფუძვლად, ყრილობა, იმ აზრით, რომ საორგანიზაციო ხანა უფრო ჩქარა გათავდეს, აუცილებლად სცნობს მათ დაუყოვნებლივ გატარებას ცხოვრებაში. ამისდა მიხედვით იღებს რა მხედველობაში ამავე დროს საქართველოს საერთო საქალაქო კოოპერაციის ყრილობის გახსნას, მუშათა კოოპერაციის ყრილობა აქტიურ მონაწილეობის მისაღებად მის მიერ წამოყენებულ პრინციპების განხორციელებაში ჰგზავნის თავის რწმუნებულებს საერთო სამოქალაქო კოოპერაციის ყრილობაზე, მოითხოვს მათთვის გადამწყვეტ ხმის უფლებას ყრილობის მუშაობაში; ამ რწმუნებულთა რიცხვი უნდა შეეფარდოს მუშათა კოოპერატივებში შეერთებულ მომხმარებელთა რიცხვს. ამას გარდა, მიისწრაფვის რა, რათა უფრო ჩქარა დამყარდეს საორგანიზაციო და იდეური კავშირი საერთო სამოქალაქო კოოპერაციასთან, ყრილობა, მის მიერ მიღებულ მუშათა კოოპერაციის აღმშენებლობის სქემის მიხედვით აუცილებლად სცნობს, მუშათა კოოპერაციის წარმომადგენლების შესვლას „ცეკავშირის" ყველა მმართველ ორგანოებში.

მეზარევ!

დაჰკარ, დაჰკარ ცეცხლის ხელით
შემოჰკარი ზარებს,
ძლიერი ხმა მოგუგუნე
მრწამს მტრებს შეაზარებს;
შეაზარებს ძველ სამყაროს,
ძველ ადათს, ძველ რწმენას,
ცეცხლის ისრით ჩაჰკლავს გულში
უსიცოცხლო თმენას!
დაჰკარ გრძნობით ანთებული
დაჰკარ მტკიცეთ მეთქი,
ვით გრიგალი ბრაზით სავსე
კლდიდან მონახეთქი...
ანთებული ბრძოლის ჟინი
ცეცხლს მწველს შეუფარდე,
რომ მომავლის შვილი წრფელი
თვით ხალხს შეუყვარდე!
დაჰკარ კიდევ, დაჰკარ მეთქი,
რომ ბოხი ხმა ზარის,
არე-მარეს ესალბუნოს—
ნაცვლად შავ სიმწარის...
გაისმოდეს ხმა ძლიერი
გულზე სხივის მფენი,
შურის ცეცხლმა გზა გაკაფოს
ეკლით მონაფენი!
ზღვა ბობოქრობს, ზვირთი ზვირთს სცემს,
ტალღა ებრძვის ტალღებს,
ქარიშხალი ხან სუსტად სტვენს,
ხან ხმას აღიმაღლებს.,.
ხმას იმაღლებს და მეზარევ!
შენც მძლეთ რეკე ზარი—
გააღვიძე შრომის შვილთა
მითვლემილი ჯარი!..
გააღვიძე არე-მარე—
გადასძახე ველებს,
ძილის დრო, რომ აღარ არის.
მტერი სისხლს ახველებს!
გადასძახე წრფელი სიტყვა
სიტყვა მტკიცე რწმენით,
ბრძოლის ცეცხლი გვაგუძნობინე
ბოხი ზარის ენით!..
კიდევ დაჰკარ, დაჰკარ კიდევ,
დაჰკარ ცეცხლის გესლი,
სულს ბობოქარს ჩაუსახე
მძლე იმედის თესლი;
დაჰკარ, დაჰკარ, ააჟღერე
ჩანგი ცეცხლის მზგავსი,
რომ ჩაახრჩო სისხლის ტბაში
შამბნარი და ხავსი!
შენი ზარის ხმა ძლიერი
ვეც სულს მიდგამს ბრძოლის,
არე—მარეს ასალკდევებს
ხმა ცეცხლის, ხმა ბროლის:
ჰო, მეზარევ! შენ ხომ ცეცხლის
ზღვაში დაიბადე,
სჯობს იმავე ცეცხლში დასწვა
ტანჯვის შავი ბადე!
შეუფარდე ზარის რეკა
თოფ-ზარბაზნის გუგუნს,
სულის ღელვა ზვდის ტალღების
სტვენასა და დუდუნს...
დააფრქვიე შავს სივრცეში
ცეცხლი მარად მწველი,
ეს შენ ძალ გიძს—შენი გული
ვულკანია ცხელი!
დაჰკარ, დაჰკარ ცეცხლის ხელით
შემოჰკარი ზარებს,
ძლიერი ხმა მოგუგუნე
მწამს მტრებს შეაზარებს;
შეაზარებს ძველ სამყაროს,
ძველ ადათს, ძველ რწმენას,
ცეცხლის ისრით ჩაჰკლავს გულში
უსიცოცხლო თმენას!..

იონა ვაკელი.

საერთაშორისო მდგომარეობა

(ამხ. სერ. ქავთარაძის სიტყვა, წარმოთქმული საქართველოს რევოლიუციურ კომიტეტების თავმჯდომარეთა კრებაზე)

დღევანდელი ჩემი მოხსენების თემა არის საერთაშორისო მდგომარეობა და ის ამოცანები, რომელსაც ეხლა ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება ევროპისა აყენებს დღის წესრიგში. ეს თემა მეტად დიდი და ფართოა, და ჩემი ძალა საკმარისი არ არის მის დასაძლევათ. თუმცა ის განსაზღვრული დრო, რომელიც მე მომანიჭეთ, როგორც მომხსენებელს, საკმარისი იქნება, რომ შევეხო იმ საკითხებს, რომლებიც ეხლა ევროპის ტერიტორიაზე წარმომდგარა და ისეთ კვანძს წარმოადგენენ, რომლის გახსნა არავითარ დიპლომატს არ შეუძლია ომის გარეშე. მე სწორედ შორიდან დავიწყებ ამ საკითხების გაშუქებას. სწორედ იმ მომენტიდან, როცა დიდი იმპერიალისტური ომი დაიწყო და გათავდა. მან სრულიად გამოააშკარავა თავისი კლასობრივი ბუნება და აშკარა გახდა მუშათა მასებისათვის, რომ იგი გამოწვეული იყო კაპიტალისტების ავანტიურით, მათი ინტერესების ჭიდილით და ამას შეეწირა 15 მილიონი ადამიანთა მსხვერპლი. პროლეტარიატის საერთო მღელვარებამ, რომელმაც თავი იჩინა ომის დროს, მწვავე საგონებელში ჩააგდო ევროპის ბურჟუაზია იმ მხრივ, რომ ომის გათავება მას უქადდა სიკვდილს და განადგურებას. ბურჟუაზია ფიქრობდა, რომ მისი მეოხებით ომში განადგურებული და დასახიჩრებული ხალხის მასსა, რომელიც სახლში დაბრუნდებოდა, შეიქმნებოდა რევოლიუციის ფერმენტი, დაამხობდა მის ბატონობას და ფეხზე დააყენებდა მთელი ევროპის პროლეტარიატს. ეს შიში, პანიკა ღრმად იყო გამჯდარი დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის ძვალ-რბილში. სწორედ ეს მომენტი შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც უსუსტესი მდგომარეობა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიისა 1914 წლიდან დაწყებული დღევანდლამდე. ამ ისტორიულ პერიოდის განმავლობაში ეს ომის გათავების მომენტი ყველაზე უფრო სახიფათო და საშიში იყო მისთვის. ამ დროს ბურჟუაზია განიცდიდა დიდ სისუსტეს. ამ მომენტით რომ მსოფლიო პროლეტარიატს ესარგებლა და ისე მოწყობილათ და ორგანიზაციულად, როგორც დღეს არის, მიეტანა იერიში ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზიაზე, ის უეჭველათ გაიმარჯვებდა და იმპერიალისტური ბურჟუაზია ძლეული და განადგურებული იქნებოდა, მაგრამ ეს მომენტი ხელიდან გაუშვა. ეს აიხსნება იმით, რომ პროლეტარიატის ხელმძღვანელნი გადავიდნენ ბურჟუაზიის ბანაკში, მაშინ როცა მტერი დასამალავათ ბუნაგს ეძებდა. როცა სასწორზე იყო შეგდებული გაბატონებული კლასების ბედ-იღბალი, მუშა ხალხის მებაირაღტრენი, მთავარსარდლები და ხელმძღვანელნი გადიხვეწნენ მტრის ბანაკში და მასსა რევოლიუციონურათ აღგზნებული დარჩა უთავოთ—უსარდლოთ. ამნაირათ პროლეტარიატმა ეს მომენტი ხელიდან გაუშვა. მას შემდეგ კი ბურჟუაზია გამოიცვალა: შეიცვალა მისი ფსიხოლოგია და მისი მდგომარეობა პოლიტიკაში. მან ამის შემდეგ ფეხი უფრო მოიმაგრა, უფრო მტკიცეთ დადგა თავის ნიადაგზე: რახან ხიფათი თავიდან აიცილა, ბურჟუაზიამ დაიწყო თანდათან შეტევაზე გადასვლა. ჩვენ რომ ამ მომენტიდან მოკიდებული დღემდე ფაქტებს თვალი გადავავლოთ—და განვიხილოთ, რაც იწერებოდა პრესაში და ლიტერატურაში, შევამჩნევთ, რომ ბურჟუაზია თანდათანობით მაღლი იწევს და აწარმოებს თავდასხმას პროლეტარიატის წინაალმდეგ. ამას ის შემდეგნაირად ხსნიდა: რადგან ომმა გაანადგურა ეკონომიური ცხოვრება და ტეხნიკა, მატერიალური წყაროები არსებობისა და სხ. ამიტომ საჭიროა დიდი შრომის და ენერგიის დახარჯვა აღორძინებისათვის. ამიტომ უპირველეს ყოვლისა პროლეტარიატმა უნდა გაიღოს მსხვერპლი. და ბურჟუაზიამაც დაიწყო პროლეტარიატის ხელფასის შემცირება. ამას თან მოჰყვა პროლეტარიატის ყოველნაირი შევიწროება, რომლის მზგავსი ომამდე მას არ უგრძვნია. ამ ახალმა გარემოებამ წარმოშვა რევოლიუციონური ამოძრავება პროლეტარიატისა და პირველი ლახვარი სწორედ ამას დასცა ევროპის ბურჟუაზიამ. დეპეშებიდან გეცოდინებათ, რომ ბურჟუაზიის ბრძოლა დასავლეთ ევროპის პროლეტარიატთან უსაშინელეს ფორმებს ღებულობს. ის ილიუზია, რომელიც ჰქონდა ბევრს ჩვენგანს, რომ ომის ლიკვიდაციით მოხდება კაპიტალისტური წყობილების განადგურება, ვინაიდან ბურჟუაზია მაშინ უფრო ადვილი დასამორჩილებელი იქნებაო, ეს ილიუზია ეხლა სამუდამოდ გაჰქრა. ბურჟუაზია გადაურჩა ხიფათს—რევოლიუციას, მან წელი მოიმაგრა, მაგრამ წელის მომაგრება იმაში კი არ გამოიხატება, რომ ის ეკონომიურად მოღონიერდა, არამედ მან შექმნა მაგარი, პოლიციურ-პოლიტიკური ორგანიზაციები. მან შექმნა ლიგები, საბჭოები, ფაშისტების ორგანიზაცია იტალიაში ე. წ. კუ-კლუკ-კლირი ამერიკაში და სხვა ასეთი ორგანიზაციები. აღადგინა და გააძლიერა სამხედრო აპარატი. ამრიგად ევროპაში და ამერიკაში ბურჟუაზია პოლიტიკურად და პოლიციურად გამაგრდა და მისი დიპლომატია გაგრძელება არის ძველი, უსაშინელეს და უსაზიზღრეს დიპლომატიისა, რომელმაც ომი ასტეხა. ეკონომიურად ქვეყანა ისეა განადგურებული, რომ მისი აღდგენა შეუძლებელია კაპიტალისტურ პირობებში. ამიტომ ბურჟუაზია პოლიტიკურად ძლიერდება, მაგრამ მისი ეკონომიური მდგომარეობა ირღვევა და იშლება. მას აღარ აქვს ძალა, რომ თვისი ეკონომიური მდგომარეობა გაამაგროს. ამნაირად, აქ ბურჟუაზია სდგას მეტად მწვავე საკითხის წინაშე. ბურჟუაზიამ კარგად იცის,—ის მარქსიზმს იცნობს:—თუ მისი ეკონომიკა იქნება დაშლილი, მისი პოლიტიკა დიდხანს ვერ იბოგინებს, ამიტომ მან მთელი თვისი ყურადღება მიაქცია ეკონომიური მდგომარეობის გამაგრებას და ორგანიზაციულად მოწყობას.

ამ მიზნით ის სხვა და სხვა ზომებს მიმართავს. ამით აიხსნება ის, რომ იმპერიალისტურმა მთავრობებმა საბჭოთა მთავრობასთან დაიწყეს ლაპარაკი და კიდეც დასდეს მასთან ხელშეკრულებანი. მიუხედავათ იმისა, რომ ევროპის ბურჟუაზია და საბჭოთა რუსეთი შეურიგებელ წინაალმდეგობას წარმოადგენენ, „ბურჟუაზიული ანტანტა, რომელიც რამოდენიმე წელიწადია ებრძვის და ნიადაგს უთხრის საბჭოთა მთავრობას, დღეს საბჭოთა რუსეთს კარს მიადგა და რამოდენიმე ხელშეკრულებას თავდახრილათ ხელი მოაწერა. ამავე დროს, როდესაც ერთი ხელით იგი საბჭოთა მთავრობას ხელს უწერს სხვა და სხვა ხელშეკრულებაზე, მეორე ხელით ლამობს მახვილი დასცეს მას. მე ვამბობ, რომ როცა ანტანტა რუსეთს სხვა და სხვა საქონელს აწვდის ხელშეკრულების ძალით, ამავე დროს ის ახალ-ახალ ავანტიურებს ამუშავებს, რომ საბჭოთა მთავრობას სიცოცხლე მოუსწრაფოს. აზრი ეს არის: ევროპა-ამერიკის ბურჟუაზიას რუსეთი უნდა როგორც ბაზარი, როგორც საშუალება თავის ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და აღსადგენათ. თუ რუსეთი მას სავსებით პირში ჩაუვარდება და მოინელებს, ეს ხომ სულ უკეთესი იქნება, ეს პროგრამა-მაქსიმუმის განხორციელება იქნება, მაგრამ თუ ძალა არ ეყო, რომ საბჭოთა მთავრობა შთანთქას, მაშინ რუსეთით უნდა ისარგებლოს იმ შემთხვევაშიაც თუ იქ საბჭოთა მთავრობა იქნება. აი აქ არის ორმაგი პოლიტიკა—აქ არის მინიმუმი და მაქსიმუმი პოლიტიკური მოქმედებისა. მე ვამბობ, რომ რუსეთთან კავშირის დაჭერა არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე ევროპის ბურჟუაზიული მთავრობა გამემარცხენდა, გარევოლიუციონერდა, არა! ასეთი გაცხარებული და სასტიკი ფორმით ბრძოლა პროლეტარიატის წინაალმდეგ არ ახსოვს ისტორიას. ყველგან გაბატონებულ კლასების მთავრობათა და პარტიათა ინიციატივით საზოგადოების ნაძირალების მობილიზაცია ხდება, როგორც მაგალითად ფაშისტებია იტალიაში, რომლებსაც კაპიტალისტები დიდძალ ფულს ახარჯებენ, იმ მოსაზრებით, რომ მათ დანით და კეტით დაესხან მუშათა ოჯახებს, ფაბრიკა-ქარხნებს, კავშირებს, კლუბებს, რომ თოფითა და ბომბით, ავაზაკური საშუალებებით დაარღვიონ მუშათა მწყობრი რიგები. ასეთი ორგანიზაცია, როგორც მოგახსენეთ, შექმნა ჩრდილო-ამერიკის კაპიტალისტებმაც, ამას მოგვითხრობენ უკანასკნელი გაზეთები. ასე რომ ბურჟუაზია აღჭურვილი ყოველ-გვარი იარაღით, მიუხედავათ მისი სიბინძურისა, გადადის თავდასხმის სტრატეგიაზე პროლეტარიატის წინაალმდეგ. მდგომარეობა მოკლედ ასეთია: მას სურს ერთის მხრით დაასუსტოს რევოლიუციონური სულის კვეთება, რომელიც თანდათან იზრდება მუშათა კლასში; ამისათვის ის ხმარობს ყოველ საშუალებას; მეორეს მხრით—მისი სურვილია გამოძებნოს საშუალება ეკონომიურ აღორძინებისა, რომ უკვე მომაკვდავი მრეწველობა განაცხოველოს. მესამე მხრით—კი ბუმბერაზ საბჭოთა მთავრობის არსებობას ანგარიში გაუწიოს.

აი სამი მხარე რომელთა გაუქმება მოგვცემს სწორ წარმოდგენას დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობაზე. მე აქ ძალიან ბევრი მასალები მაქვს, და არ ვიცი როგორ გამოვიყენო. შევეცდები მოკლეთ გადმოგცეთ ეს მასალები. მე ვამტკიცებ და ჩემზე ადრე და უკეთ მესამე ინტერნაციონალმა დაამტკიცა, რომ ევროპის ეკონომიური მდგომარეობა თანდათან ეცემა, ეკონომიური აპარატი ირღვევა, ტეხნიკა იშლება, პროდუქცია სუსტდება, წარმოებითი ენერგია ქრება. ეს არის საზოგადოთ მთელი დასავლეთ ევროპის და ამერიკის ეკონომიური მდგომარეობის სურათი. გერმანიის მწვავე მდგომარეობა ცხადია შემდეგი ციფრებიდან: ომამდე წარმოებაში და მრეწველობაში იყო 11 ერთი მეოთხედი მილიონი მუშა და 1921-ში მხოლოდ 4 მეხუთედი მილიონია. აშკარაა, რომ ეს ფაქტი ეკონომიურ კრიზისის შედეგია. ამ 4 მილიონს აქვს რაიმე სამუშაო, დანარჩენები ან ომში გაიჟლიტენ ან უმუშევარნი არიან, ქარხნები მათ არ ღებულობენ და ისინი იძულებულნი ხდებიან თავისი არსებობისათვის სხვა გზას მიმართონ. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას ციფრები შემდეგს გვეუბნებიან: მოსავალი. ომამდი იყო ცხრაასი მილიონი ფუთი პური, ეხლა მხოლოდ სამასი მილიონია. დაეცა ნიადაგის გაპოხიერება და სოფლის მეურნეობა. ომამდე მთელი ნაციონალური სიმდიდრე უდრიდა 225 მილიარდ მარკას, დღეს კი მხოლოდ 100 მილიარდს. ნაციონალური შემოსავალი ომამდე იყო 40 მილიარდი, შემდეგ—16 მილიარდი, ასე რომ იგი 60 პროცენტით დაეცა. ეს საერთო მდგომარეობა, რომელშიაც ჩააყენა ომმა გერმანია კიდევ გაუარესდა და ეხლა არავითარი გამოსავალი აღარ მოეპოვება. ვერსალის პირობები სიკვდილის განაჩენია გერმანიისთვის. შემდეგ ეს პირობები კიდევ უფრო გამკაცრებული იქმნა ქალაქ სპაში. ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიამ უნდა გადაიხადოს 132 მილიარდი ოქრო—მარკა. ეს ოქრო ამნაირად არის განაწილებული გამარჯვებულ და ნეიტრალურ სახელმწიფოებს შორის: საფრანგეთს 52 პროც., ინგლისს 22 პროც., იტალიას 10 პროც., ბელგიას 8 პროც., იაპონიას 0.75 პროც., პორტუგალიას 0,75 პროც. და დანარჩენი 6 ნახ. პროც. რუმინიას სერბიას და საბერძნეთს. ფულზე რომ გადავიტანოთ ეს პროცენტები საფრანგეთს ერგება 68 ცამ. მეხუთ. მილიარდი ოქრო, ე. ი. თანამედროვე კურსით რომ ვიანგარიშოთ საფრანგეთის ფრანკებზე 226 მილიარდი 526 მილიონი ფრანკი. აი საფრანგეთის მონაწილეობა ამ საქმეში. ინგლისს გაცილებით ნაკლები ერგება—22 პროც. გერმანიას ამა წლის პირველ მაისში უნდა შეეტანა 12 მილიარდი ოქრო, მაგრამ ვერ მოახერხა და ვადა გაუგრძელეს. ეს ოქროს კონტრიბუცია რომელიც გერმანიას დაადვეს იმდენათ მძიმეა, რომ გამარჯვებული სახელმწიფოებს, არ ჰქონდათ იმედი, რომ გერმანია გადაიხდიდა. ამიტომ მათ სხვა საშუალებებს მიმართეს. რომ იძულებით გადაეხდევინებინათ ეს კონტრიბუცია. ჯარების საშუალებით დაიკავეს გერმანიის საუკეთესო ადგილები, რურის ოლქი, სადაც მრეწველობა და ქვანახშირის წარმოება საუკეთესო ნიადაგზეა დაყენებული. ამნაირად ანტანტამ, რომ ვერსალის პირობები განეხორციელებინა და ას ოცდა თორმეტი მილიარდი მარკა ოქრო აეღო, ორი მხრიდან წაუკიდა ცეცხლი გერმანიას. რასაკვირველია დასუსტებული და იარაღ აყრილ გერმანიას წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. ამ ზომებმა გერმანიის დასუსტებისა და იარაღის აყრისა ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ყოველ გვარი იარაღი, საავიაციო მასალებიც კი გაიტანეს გერმანიიდან და გერმანია იძულებული იყო ბაწარში თავი გაეყო. მისი პოლიტიკა დღეს იმაში მდგომარეობს, რომ ამ ბაწრიდან თავი გაინთავისუფლოს და შეინარჩუნოს თვისი არსებობა. ასეთი განადგურება შეადგენდა ანტანტის ინტერესს, შედიოდა მის გეგმაში. განსაკუთრებით ეს იყო საფრანგეთის კაპიტალისტების ინტერესი. საფრანგეთის ბურჟუაზიას არ უნდა, რომ ევროპის კონტინენტზე ყავდეს მოქიშპე, მას სწადია, რომ პირველობა საფრანგეთს ჰქონდეს და მთელი მისი პოლიტიკა ამ მიზნისაკენ არის მიმართული. ამით აიხსნება ისიც რომ საფრანგეთს და ინგლისს შორის შავმა კატამ გაირბინა. რომ გერმანიის მრეწველობა ჩაეკლათ და იგი მეტოქეთ არ ყოფილიყო ევროპის ბაზარზე—გერმანიას გარდა კონტრიბუციისა, კიდევ ბევრი სხვა მძიმე პირობები მოახვიეს თავზე, მაგ. გადასახადი ექსპორტზე, ე. ი. იმ საქონელზე, რომელსაც გერმანია გაიტანს გარეშე ბაზარზე. ეს გადასახადი იმდენად დიდია, რომ გერმანელი მინისტრის რატენაუს გამოანგარიშებით, მუშის ხელფასს 40 პროც.-ით სცემს ჰირს. ერთი სიტყვით გერმანია ეხლა ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ მას არსაიდან მშველელი არა ყავს.

მას მოსპობილი აქვს ყოველგვარი საშუალება აღდგენისა. მას არც შინაურ ბაზარზე და არც გარეშე ბაზარზე არა აქვს გასამარჯვებელი იარაღი. დალუპვისაგან თავის გადასარჩენათ ის დააწვა შინაურ მშრომელ ელემენტს და შეიმუშავა გადასახადების საოცარი გეგმა. გადასახადი დაადვა შაქარზე, სახარინზე, გასათბობ და გასანათებელ მასალაზე და სხვას ისეთ საგნებზე, რომლებიც წარმოადგენენ უაღრეს საჭიროებას დაბალი კლასების ფართო მასებისათვის. დღეს ამ ნიადაგზე იწყება მასის აბობოქრება და უკმაყოფილება. მაგრამ გერმანია იძულებულია, რომ პროლეტარიატი კიდევ უფრო სცარცვოს და გლიჯოს და ექსპლოატაცია ისეთ წერტილამდის მიიყვანოს, რომ უკანასკნელი სისხლის წვეთიც ამოსწუროს პროლეტარიატს და ამით შეე-

რწმუნებულთა არჩევა „ცეკავშირის“ ყრილობაზე გასაგზავნად.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ ყრილობა შეუდგა თავის რწმუნებულების არჩევას „ცეკავშირის“ რწმუნებულთა ყრილობაზე გასაგზავნად. აირჩიეს შემდეგი ამხანაგები, წამოყენებულნი ყრილობის კომუნისტურ ფრაქციის მიერ: თალაქვაძე (ოზურგეთი), კალატოზიშვილი (თელავი), ბახუტიძე (ბათომი), კაჭარავა (ქუთაისი), შონია (ზუგდიდი), ბოლქვაძე, მოვშენზონი, ერისთავი (თბილისი) მათ კანდიდატებათ აირჩიეს: იაონოვი (ახალციხე), და გარელიძე (თიანეთი).

მუშათა ცენტრალურ კოოპერაციის განყოფილებაში არჩევა.

მუშათა კოოპერაციის განყოფილებაში, რომელიც არსდება „ცეკავშირის“ ყრილობის დადგენილებით, აირჩიეს ამხ. წივწივაძე, ერისთავი, მოვშენზონი, პესეცკი და ერქომაიშვილი (სასურსათო სახალხო კომისარი).

მისასალმებელი დეპეშები.

ყრილობამ აიასდო პრეზიდიუმს მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნოს მოსკოვის რუსეთის მუშათა კოოპერაციის ცენტრს და საქართველოს პროფესიონალურ კავშირების საბჭოს.

ამხ. მოვშენზონის საბოლოო სიტყვა.

ყრილობის დახურვის წინ, ამხ. მოვშენზონმა წარმოსთქვა შემდეგი საბოლოო სიტყვა:

„საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში, აქ შეიქნა მუშათა კლასიური კოოპერაცია, რომელიც თავის არსებობის 4-6 თვის შემდეგ უკვე შეიკრიბა ყრილობაზე და აწესებს მოქმედების საზოგადო ხაზს. წინანდელ ხელისუფლების 3 წლის არსებობის დროს მუშათა კოოპერაცია არ არსებობდა საქართველოში ან ჩაფლული იყო წვრილ-ბურჟუაზიულ კოოპერაციაში.

ჩვენ ამ ყრილობაზე გიჩვენეთ, რომ მუშათა კოოპერაციის წინაშე დგანან დიდი ამოცანები არა თუ მარტო მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობის სფეროში, არამედ დაპყრობილი ამოცანებიც, ბაზრის მოწესრიგების სფეროში. რომლებსაც ვერ სძლია და ვერც სძლევს სამოქალაქო კოოპერაცია.

უკანასკნელი ჯერ იმყოფება ჩვენი გავლენის გარეშე. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლიან დავკმაყოფილდეთ ჩვენი განცალკევებულ იდეოლოგიის ფარგლებს, ჩვენ უნდა შევიდეთ სამოქალაქო აპარატში და დავიპყროთ იგი.

მომავალ ყრილობაზე,—როდესაც ჩვენ უკეთ სწორეთ ვიანგარიშებთ ჩვენს ძალებსა და რესურსებს, ჩვენ დავარწმუნებთ ყველას, რომ მუშათა კოოპერაცია [illegible] როლია, რომ იგი აღმოცენებულია მუშათა კლასის ღრმა თვითმოქმედების ნიადაგზე.

მოგილოცავთ პირველ ყრილობას და ვისურვებ, რომ ჩვენი დადგენილებანი მალე განხორციელდნენ ცხოვრებაში.

საქართველოს მუშკოოპების პირველი ყრილობა იხურება ინტერნაციონალის მღერით.

რევკომების ყრილობა

მოხსენებები ადგილებიდან

სიღნაღის მაზრა.

მომხსენებელია მაზრის რევკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ტატეიშვილი მაზრაში 128 სოფელია. საბჭოთა გამოცხადების შემდეგ 60 სათემო რევკომი შეიქმნა, შემდეგში ეს რიცხვი შემცირდა 47-მდე, ამ ჟამად კი 31-ია სარაიონო რევკომი 5: ლაგოდეხის, გურჯაანის, მირზაანის, შირაქის და კოდოლის.

სამაზრო რევკომი ამ ჟამად სრულიად წესიერადაა მოწყობილი და ყველა განყოფილებისაგან შესდგება. სახსრის და სახლების უქონლობა დიდათ ხელს უშლის რევკომის ნაყოფიერ მუშაობას.

სანიტარული გადასახადი მაზრაში 850 მილიონია შეგროვილი. სასურსათო გადასახადის სიები შედგენილია და შეგროვებას შეუდექით. უნდა შეგროვდეს: ხორბალი 105000 ფ. ღვინო 110,000 ფ., კომბოსტო 1900 ფ., კარტოფილი 6.500 ფ. ერბო 1200 ფ, ყველი 870 ფ., ხორცი 6100 ფ. და თაფლი 800 ფუთი.

რევკომის ეკონომიური განყოფილება მოეწყო აპრილის 1 კომუნალურ მეურნეობასთან ერთად, მაგრამ აგვისტოს 1-დან სამაზრო რევკომის განკარგულებით ეს ორი განყოფილება იყო განცალკევებული, ხოლო ოქტომბრის 25 იმავე განკარგულებით კვლავ გაერთიანებული. მოხსენება აღნიშნავს, რომ აპრილის 1-დან აგვისტოს 1-მდე ეკონომიურმა განყოფილებამ თითქმის არ გამოიჩინა აქტიური მუშაობა მატერიალურად მოუწყობლობისა და ინსტრუქციის უქონლობის გამო, ხოლო აგვისტოს 1-დან ოქტომბრის 25-მდე იგივე ფულის უქონლობა საშუალებას არ იძლეოდა მუშაობისას, მაგრამ მაინც ამ დროში განყოფილებასთან მოეწყო სექციები: ხის დამუშავებელი, გიდრო—დამუშავებელი, არქი—დამუშავებელი და მექანიკური ნაწილი. ამ განყოფილებებიდან პირველი შეუდგა წნორიდან ლაგოდეხამდე გზის შეკეთებას. გადასინჯულია სამი სოფლის ონკანის აშენების პროექტები და შეუდგნენ მასალის დამზადებას, ვაქირის ერთ ონკანისათვის.

განყოფილებამ მოაწყო ტყავეულობის საქმე. ტყავეულობა კომუნალურ მეურნეობის სახელოსნოებში მიდის. ის იყო შეუდგნენ საპნის დამზადების საქმის ორგანიზაციას, მაგრამ მასალისა და ფულის უქონლობის გამო ქარხანა არ ამუშავებულა.

საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამდე მაზრაში არსებობდა 73 პირველ დაწყებითი სკოლა. საბჭოთა ხელისუფლების დროს გაიხსნა 6 ახალი; არსებობს 15 შრომის სკოლა, 5 ტეხნიკუმი, საბავშო ბაღი, 43 სამკითხველო, სკოლა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ.

ახალციხის მაზრა.

ახალციხის სამაზრო რევკომის მოქმედების შესახებ მოხსენებით გამოდის რევკომის თავმჯდომარე ამხ. მაღრაძე.

მაზრის მცხოვრებნი სავსებით თანაგრძნობით ეპყრობიან საბჭოთა ხელისუფლებას, რის დამამტკიცებელია სანიტარულ გადასახადის შეკრება, რომელიც გლეხებმა სავსებით შეგნებულად მიიღო და ხმაამოუღებლივ სრულიად შეიტანეს.

სამაზრო რევკომის შინაგან მართველობის განყოფილებამ პირველ გეგმად დაისახა სამაზრო საქალაქო მუშა-გლეხთა მილიციის საქმის ორგანიზაცია. საქმე ბრკოლდება ტანისამოსის სიმცირით და იარაღის უქონლობით და მილიციის წევრთა მატერიალურად ნაკლებათ უზრუნველყოფით. სამაზრო რევკომი სთხოვს ცენტრს დააკმაყოფილოს მაზრის მილიციის ყველა საჭიროებანი სასწრაფო წესით.

მაზრა ამ ხნობამდე განიცდის ეკონომიურ კრიზისს. მაზრის მესაქონლეობა სამხედრო მოქმედებათა, და სხ. მიზეზების გამო არაფრამდეა დასული.

ყველაზე მწვავე საკითხი მაზრისთვის არის ტრანსპორტის მოწყობა. ეკონომიურ განყოფილების სატრანსპორტო ქვეგანყოფილებას ჰყავს სულ რამდენიმე ცხენი და კამეჩი. ეს ტრანსპორტი სრულიად არ არის საკმარისი ახალციხის საბჭოთა ყველა დაწესებულებათა მოსახმარად და ამიტომ სამაზრო რევკომს ხშირად უხდება გლეხობისადმი საბარგო გადასატან ბეგრის შეწოლება.

კომუნალურ მეურნეობის განყოფილებამ მიიღო ქალაქის ყოფილ თვითმართველობისაგან ნანგრევები და ამიტომ მას დიდი სამუშაო აქვს. ქალაქის ყველა 11 სადგური სრულიად გაფუჭდა, არაა განათება, ცეცხლის მქრობელი რაზმი და საასენიზაციო ქარავანი, წყლის მომარაგება საცოდავ მდგომარეობაშია. სამაზრო რევკომი შუამდგომლობს ეკონომიურ და კომუნალურ განყოფილებათა გაერთიანებას ერთ განყოფილებად.

1918 წლამდე მაზრაში არსებობს 20 სახალხო სკოლა, რომელნიც ძლიერ დაზარალდნენ არეულობის დროს. სახსრის უქონლობა და გამოცდილ ხელმძღვანელის უყოლობა. ამ ჟამად ქალაქში მოქმედობს რამოდენიმე სახალხო სკოლა და 2 ტეხნიკუმი.

სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილება 4 თვის წინეთ მოეწყო. ამ დარგში მან გახსნა ინვალიდთა სახლი, მაგრამ განყოფილება სრულიად უძლურია სახსრის უქონლობის გამო.

პარტიული ცხოვრება

დაბა აბაშა.

ა. წ. 4 დეკემბერს მოხდა აბაშის რაიონის თემ კომების და ჩანასახების პასუხის მგებელ მდივნების თათბირი. თათბირს დაესწრო ყველა თემების და ჩანასახების პასუხის მგებელი მდივნები.

დღის წესრიგი:

1. მიმდინარე მომენტი.
2) რაიონული კონფერენცია.
3) მოხსენება ადგილებიდან.

მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვასილ კაჭარავამ, მან დაუსურათა ამხანაგებს ძველი და ახალი ეკონომიური პოლიტიკა, აუხსნა უკანასკნელის მნიშვნელობა და დიდი სარგებლობა გლეხებისთვის.

ამხ. კაჭარავა შეეხო ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციას და ნათელ-ჰყო მისი საჭიროება და მიზან შეწონილება.

უკანასკნელად მოხსენებელი გადავიდა საერთოდ საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკაზე, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობამ იცნო ძველი მეფის ვალი, როგორ, რა სახით და რა მიზნებით.

რაიონულ კონფერენციის შესახებ ამხ. ვასილ კაჭარავამ, დაარიგა ამხანაგები, რა წესით და როგორ აირჩიონ დელეგატები რაიონულ კონფერენციაზე.

მოხსენება ადგილებიდან დამაკმაყოფილებელი იყო, მხოლოდ კვათანის თემის რევკომ და პარტკომ შორის არ ყოფილა დამოკიდებულება დამაკმაყოფილებელი.

ფ. ჰანტ.

—

ქალ. სამტრედია.

ხუთშაბათს 1 დეკემბერს მოხდა შეერთებული კრება—სამი კომიტეტისა დეპოსი, კონდუქტორებისა და საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეთა. თავმჯ. აირჩიეს გიორგი კალანდაძე, მდ. ს. კ-ლი. დღიური წესრიგი: 1. მოხსენება ამიერ კავკასიის ფედერაციაზე 2) საორგანიზაციო საკითხები. პირველ კითხვაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ავქსენტი პაპავამ, რომელმაც თქვა, რომ ამიერ-კავკასიის სოციალისტური რესპუბლიკათა კავშირი გარეშე თუ შინაურ საკითხების მოსაგვარებლათ ფრიად სასარგებლოდ მისაღებია საქართველოს მშრომელ ხალხისათვის.

შემდეგ მოხსენება გააკეთა ორგანიზაციულ საკითხებზე უპასუხის მგებელ მდივანმა ამხ. სპ. კიკაჩეიშვილმა, რომელმაც აუცილებლათ მიიჩნია ამ სამი კომიტეტის სხდომების შეერთება კვირაში ერთხელ, რომ ნაყოფიერი მუშაობა ვაწარმოვოთ და ხელმძღვანელობა გაუწიოთ მათ; რაც მიღებულ იქნა და შეერთებულ სხდომისათვის დაინიშნა კვირაში ერთი დღე—ხუთშაბათი.

სან-კანი.

—

ნოქალაქევის რაიონიდან (სენაკის მაზრა).

23 ნოემბრიდან 28 ნოემბრამდე, თანახმად ნოქალაქევის რაიონული პარტკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა, ჩამოვლილ იქნა რაიონპარტკომის ინსტრუქტორ ორგანიზატორ ალ. ჯოჯუას მიერ, ნოქალაქევის რაიონში შემავალი, ყველა თემებში არსებული კომუჯრედები, ყველგან მოწვეული იყო სრული პარტიული კრებები, რომლებსაც ესწრებოდნენ ყველა ამხ. უკლებლივ. კეთდებოდა მოხსენებები, ორგანიზაციული კითხვებზე, კომუნისტური პარტიის დისციპლინის შესახებ და სხვა და სხვა მორიგ საკითხებზე. შესწორებული იქნა ყველა ნაკლები, რაც კი უშლიდა ხელს და აფერხებდა პარტიული მუშაობის გაძლიერებას და თავისი სიმაღლეზე დაყენებას. ამხანაგებს ეძლეოდა სათანადო დირექტივები და დარიგებები.

ნოქალაქევის რაიონში პარტიული მუშაობას ჩაყრილი აქვს მტკიცე საფუძველი, და ყველა კომუჯრედები დგანან თავის სიმაღლეზე.

ალ. ჯოჯუა.

პროვინციაში

სენაკის მაზრის რევკომის განათლების განყოფილების მიმოხილვა

(მარტი—ნოემბერი)

განათლების განყოფილება ნორმალურ მუშაობას შეუდგა დაახლოებით ამა წ. პირველი აპრილიდან. პირველ ხანებში განათლების შტატს შეადგენდა გამგე, მისი მოადგილე და კანცელარიის რამოდენიმე თანამშრომელი. დღეს კი განათლების განყოფილება თითქმის სავსებით ჩამოყალიბებულია, უკვე არსებობს:

1. სოციალურ აღზრდის და პოლიტიკური განათლების მმართველობა, ქვე-განყოფილებებით: ა) მთლიანი შრომის სკოლის, ბ) სკოლის ასაკამდე აღზრდის და გ ბავშთა უფლებრივი დაცვის.
2. პროფესიონალური სკოლების და პროფესიონალური განათლების მმართველობა.
3. პოლიტიკური განათლების მმართველობა საავიტაციო, საპროპაგანდო და სამხატვრო ქვე-განყოფილება.
4. საადმინისტრაციო საორგანიზაციო მმართველობა, სტატისტიკური, საინფორმაციო საინსტრუქტორო, ფინანსიური და მომარაგების ქვე-განყოფ.

არსებობს კოლეგია სრული შემადგენლობით.

თითოეულ მმართველობას და ქვეგანყოფილებას ყავს თავისი გამგეები პირველ ხანებში განათლების განყოფილების ჩამოყალიბებას და ნორმალურ მუშაობას ხელს უშლიდა სათანადო ინსტრუქციების უქონლობა. დღეს კი ამ მხრით პირობები გაცილებით უმჯობესია.

განათლების განყოფილება რევკომსა და პარტკომთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და განათლების დარგში ხელი ხელ ჩაკიდებული მუშაობენ.

ცალოს თავის გადარჩენას. მე მოგახსენეთ გერმანიის შესახებ. საფრანგეთი კი ცხოვრობს მხოლოდ გერმანიის ცარცვა-გლეჯით. მისი საკუთარი წარმოება კი ისე ეცემა, როგორც სხვა სახელმწიფოებში. მე აქ რამოდენიმე ციფრს მოვიყვან საფრანგეთის შესახებ. საფრანგეთის ქვა-ნახშირის წარმოებამ მაგალითად,—მე ვუსვამ ხაზს ამას იმიტომ, რომ ეს წარმოება შავი სისხლია მრეწველობისა და თუ იგი არ არის საჭირო დონეზე დაყენებული, მაშინ მთელ მრეწველობას ხიფათი მოელის—საფრანგეთში ქვანახშირის წარმოება ძალიან დაეცა. დღეს საფრანგეთის ქვანახშირის დამუშავება დავიდა 970 მილიონ ფუთზე. ფოლადისა და რკინის დამუშავება დაეცა 50 პროცენტით. სავაჭრო ბალანსი, რომელიც შემუშავებული იყო 1919—20 წლისათვის: პასივი შეადგენს 37 მილიარდ ფრანკს, შინაური სესხი—229 მილიონ ფრანკს, გარეშე ვალი 35 მილიარდამდე აღწევს. ამ 35 მილიარდიდან საფრანგეთმა ამერიკას უნდა მისცეს 15 მილიარდი 280 მილიონი ფრანკი, ინგლისს—13 მილიარდი 511 მილიონი ფრანკი. ასეთია ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობა საფრანგეთის. პურის მოსავალი მხოლოდ 57 მილიონ ფუთს უდრის. აქ უმუშევართა რიცხვიც საგრძნობელია, ეს იწვევს მუშათა აღელვებას და გაფიცვებს, რომლებიც ერთი-მეორეზე ებმებიან. უკანასკნელი გაფიცვა მქსოველ მუშებისა, რომელმაც 11 კვირა გასტანა და სამაგალითო ხასიათი მიიღო, მუშათა დამარცხებით გათავდა, რადგან საფრანგეთის ბურჟუაზია უფრო მოწყობილი და მომზადებულია ჯერჯერობით, ვიდრე პროლეტარიატი. იმ გამარჯვებას დღეს საფრანგეთის ბურჟუაზია ზეიმობს და მუშათა ექსპლოატაცია-შევიწროებას უფრო გაბედულათ აწვევებს. საფრანგეთის ბურჟუაზიამ დღეს 20 სანტიმით დაუკლო მუშებს ხელფასი საათში. 20 სანტიმით დაუკლო იმ მუშებს რომლებიც ხელფასის მომატებისათვის იბრძოდენ. მაშინ როდესაც მუშა თხოულობდა ხელფასის მომატებას 15-20 ფრანკით და სწორეთ ამან გამოიწვია გაფიცვა რუბეში და ტურკუენში, ამავე დროს საფრანგეთის ბურჟუაზია შტრეიკბრეხერებს აძლევდა 50 ფრანკს. ევროპაში ეხლა საფრანგეთის ბურჟუაზია უძლიერესია და ამიტომ: დღეს საფრანგეთი თამაშობს უპირველეს როლს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის. ეხლა რამოდენიმე ფაქტით აღვნიშნავ, თუ რა მდგომარეობაშია ინგლისი და როგორ ეცემა წარმოება იქაც. ქვა ნახშირის დამუშავება დაეცა 20 პროც.-ით ომის დაწყებამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით. ამასთან პარალელურად ინგლისის ვალი გაიზარდა 11-ჯერ, გირვანქა სტერლინგი ჩრდილო-ამერიკის დოლართან შედარებით დაეცა 24 პროც.-ით. გარდა ამისა აქ აუარებელია ქუჩაში გამოყრილი მუშა ხალხი, რომელსაც თავიანთი მარჯვენის მეტი არა მოეპოება რა. იმ მუშებს, რომლებიც მუშაობენ მხოლოდ რამდენიმე დღე კვირაში, რამოდენიმე საათი ხვდებათ დღეში მუშაობა, ვინაიდან ყველას სამუშევარი არ ყოფნის. 1.188.000 მუშა უმუშევრობისაგან დამზღვევი კასიდან იღებს დახმარებას. შინაურ მრეწველობის და წარმოების დაცემის და აგრეთვე მაღაროს მუშების გაფიცვის გამო ინგლისის რკინის გზები დიდ ზარალს აძლევენ სახელმწიფოს. მაგალითად მაისში დეფიციტი იყო 5.241.964 გირვანქა სტერლინგი. ამის შედეგია ის დიდი გაფიცვები, რომლის შესახებ თავის დროზე გაზეთებით გაიგებდით, იმის დასამტკიცებლად თუ როგორ მიმდინარეობს შინაური ეკონომიური ცხოვრება, მრეწველობა და წარმოება მე მოვიყვან რამოდენიმე ციფრს, ამ რამდენიმე ხნის განმავლობაში ექსპორტის დაცემამ ასეთი სახე მიიღო: იანვარში (მიმდინარე წელს) ექსპორტი უდრიდა 99 ნახ. მილიონს გ. სტ., მარტში 66 4|5 მილიონ გ. სტ., აპრილში 59 4|5 მილიონ გ. სტ., მაისში 43 მილ. გ. სტ. ივნისში 38 მილ. გ. სტ. და ასე თანდათან. იმპორტი ინგლისისა იანვარში უდრიდა 10 მილ. გ. სტ. თებერვალში 89 მილ. გ. სტ. მარტში 84 4|5 მილ. გ. სტ. აპრილში 81 ნახ. მილ. გ. სტ., მაისში 86 1|3 მილ. გ. სტ., ივნისში 81 მილ. გ. სტ. ამნაირად ინგლისის ექსპორტი და იმპორტი თანდათან ეცემა. რაც შეეხება უმუშევართა რიცხვს, ამას გვითვალისწინებს შემდეგი ციფრები. შარშან დეკემბერში იყო 757 ათასი უმუშევარი, მიმდინარე წლის იანვარში 1.065.000 უმუშევარი, თებერვალში 1.200.000, მარტში მილიონ ოთხასი ათასი, აპრილში 1 მილიონი 850 ათასი. მაისში 2.122.000 დღეს კი 3 მილიონი უმუშევარი ითვლება. ასე რომ უმუშევართა რიცხვი დიდის პროგრესით მატულობს. ეს ციფრები, რომლებიც მე წავიკითხე, ამტკიცებს რომ, როგორც მრეწველობის, ისე ექსპორტისა და იმპორტის საქმე ინგლისში თანდათან ეცემა, რის შედეგიც არის უმუშევრობის ასე საოცრათ ზრდა. რაც შეეხება ინგლისის ნაციონალურ შემოსავალს, რომელიც შარშან 4 მილიარდს 400 მილ. უდრიდა, ეხლა, 1921 წელს, უდრის 2 მილიარდს—800 მილიონი—ასე რომ ნაციონალური შემოსავალი თითქმის 50 პროცენტით შემცირდა.

რაც შეეხება მუშათა ხელფასს, მისი შემცირება გამოიხატება შემდეგ ციფრებში: ინგლისის შრომის კომისარიატის სტატისტიკით 3.667.000 მუშას ერთი კვირის განმავლობაში აკლდება 1 მილიონ 342 გირვანქა სტერლინგი. ეს ისეთ მდგომარეობას ჰქმნის, რომ ლოიდ-ჯორჯი ამ მდგომარეობას ნაპოლეონის ომების ხანას ადარებს. იგი ამბობს, რომ ასეთ მდგომარეობაში არას დროს არ ვყოფილვართ, ჩვენი კლიენტები ძონძებში არიან გახვეულნი და ფული არ მოეპოვებათ.

ეხლა რამდენიმე წუთით მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება ამერიკის შეერთებულ შტატებზე. ამ საერთო ეკონომიური კრიზისის დროს; იქ რამდენიმე ხნის წარმოებას და მრეწველობას გაუმჯობესება დაეტყო ომის შემდეგ. ომის დროს ინგლისში, საფრანგეთში და გერმანიაში კაპიტალისტური მექანიზმი ძალზე შეირყა. და მისი პროდუქცია დაკნინების პროცესს განიცდის, ამერიკაში კი, პრივილეგიურ მდგომარეობის გამო, მრეწველობა აღორძინდა. ომამდე ამერიკა დავალიანებული იყო და ომის შემდეგ ამერიკა გამოდის კრედიტორათ მთელ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა. ეხლა მათ ამერიკას უნდა მისცენ 20 მილიარდი გირვანქა სტერლინგი. ომამდე კი იგი დავალიანებული იყო და ამ ომის დროს არამც თუ ვალები გაისტუმრა, არამედ ისე გამდიდრდა ფინანსიურათ და ეკონომიურათ, რომ ის იხრჩობა საკუთარ სიმდიდრეში. დღეს ამერიკა არის ისეთი ქვეყანა, სადაც კაპიტალი ვერ პოულობს საშვალებას ექსპორტისას, სადაც აუარებელი საქონელი დაგროვებულა და ლპება გაუსაღებელი ეს მდგომარეობა შედეგია იმ ლოღიკურ წინააღმდეგობის, რომელიც ახასიათებს საზოგადოთ კაპიტალისტურ წარმოების ფორმას და რომელიც აშკარად ამართლებს ჰეგელის და მარქსის დებულებებს, რომ საზოგადოება ვითარდება მის წინააღმდეგობათა განვითარების გზით, რომ კაპიტალისტური წესწყობილება წინააღმდეგობათა ქსოვილებზეა აშენებული. ამერიკაში, სადაც სიმდიდრეს გასავალი არა აქვს, ეს სიმდიდრე ზღვასავით ბობოქრობს და ამავე დროს მუშები ვერ შოულობენ სამუშევარს და ულუკმაპუროთ არიან. ეს წინააღმდეგობა კაპიტალისტური წესწყობილებისა ამ გარდამავალ ეპოქაში საშიშელი სიცხადით დგება ყველას წინაშე, არამც თუ თეორეტიულათ მომზადებული ადამიანის, არამედ ფართო მასსის წინაშეც ამერიკა წარმოადგენს ასეთ სურათს თავისი ეკონომიური შეძლებით: დღეს ამერიკის ხელშია მთელი ქვეყნის ქვანახშირის 45 პროცენტით ნავთის 50 პროცენტი, ტონაჟის 30 პროც. აქედან თქვენ წარმოიდგენთ თუ რა ძლიერი ფლოტი ყოლია ამერიკას. ავტომობილების წარმოების დარგშიაც ასეთივე მდგომარეობაა. ამერიკის ხელში არი 85 პროც. მთელი ქვეყნის ავტომობილების წარმოებისა. სპილენძის, ბამბის, ალიუმინის—60 პროც. ცინკის—50 პროც., სხვა და სხვა ნაირი ზეთებისა—70 პროც. გარდა ამ სიმდიდრისა, რომელიც რეალურათ არის ამერიკაში, მას უნდა მისცენ სხვა სახელმწიფოებმა 20 მილიარდი გირვანქა სტერლინგი, რასაც ყოველ წლობით 10 მილიარდი სტ. ემატება სარგებლის სახით. ომამდე ამერიკა წარმოადგენდა ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც ბაზარზე გამოქონდა უმეტეს ნაწილათ ნედლეული. მას გაქონდა ორი მესამედი ნედლეული და ერთი მესამედი ფაბრიკატები, ეხლა კი მას გაქვს მხოლოდ ერთი მესამედი ნედლეული და ორი მესამედი ფაბრიკატები ე. ი. ფაბრიკატის გატანა ეხლა 60 პროც.-ზე მეტია. ეხლა მას ნაკლები გააქვს ნედლეული მასალა და მეტი ფაბრიკატი, დამზადებული საქონელი: აი სე სიმდიდრის დროს, ამ საოცარ მდგომარეობის დროს, უმუშევართა რიცხვი უდიდეს რაოდენობამდე აღწევს. ეს რიცხვი პირდაპირ განსაცვიფრებელია, ამის მიხედვით შეიძლება ითქვას! რომ რაც უფრო მდიდარია ქვეყანა, მით უფრო მეტია უმუშევართა რიცხვი და მით უფრო მეტია პროლეტარიატის ტანჯვა. ამას ამტკიცებს ფაქტები. ამერიკაში, რომლის სიმდიდრე იმდენათ დიდია, რომ მას შეუძლია არჩინოს ყველა სახელმწიფოები მთელი მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილებით, უმუშევართა რიცხვი 10 მილიონს აღწევს. ამ ციფრს ცოტა ანალიზი სჭირდება. ამის შესახებ ცნობები მოთავსებულია ამერიკის კომუნისტურ ორგანოში „უორკერს დრედნოუტში“ მაისის ნომერში. მას შემდეგ დიდმა ხანმა გაიარა, ასე რომ ეს ციფრი ჩვენ მინიმალურად უნდა მივიღოთ. მით უმეტეს, რომ მას იძლევა შრომის სამინისტრო. დღევანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ უმუშევარ მუშათა რიცხვი გაცილებით მეტი უნდა ვიანგარიშოთ. 182 მსხვილ ქალაქში უმუშევართა რიცხვი შეადგენდა 35 ნახევარ პროცენტს. შარშან იანვარში ამერიკის მრეწველობაში დაბანდებული იყო 9 ნახევარი მილიონი მუშა ხელი, დღეს კი მხოლოდ 6 მილიონია. ეს ნიშნავს იმას რომ ამერიკაში უმუშევართა რიცხვი თანდათან იზრდება. მაგრამ ეს ცნობები, რომელიც გაზეთებშია მოთავსებული არ არის სულ სწორი. ვინაიდან ამ ცნობებს იძლევა შრომის სამინისტრო, რომელიც ამ საქმეში დაინტერესებულია და რასაკვირველია სინამდვილეს ხელს აფარებს. ვალტერ რატენაუ აღრიცხავს ამერიკაში 6 მილიონ უმუშევარს. მაგრამ ყველაზე უფრო სწორად უნდა ჩაითვალოს ჩვენი პრესის ცნობა რომელიც ამბობს, რომ ამერიკაში ეხლახან 10 მილიონი მუშაა უმუშევარი და თუ ამ რიცხვს მიუმატებთ მათი ცოლშვილის რაოდენობას, მაშინ ჩრდილო ამერიკაში უმუშევართა რიცხვი 25 მილიონს მიაღწევს. აი ამ უმდიდრეს ქვეყანაში სადაც საწყობები ვერ იტევს ქონებას, სადაც სიმდიდრე ეძებს გასავალ გზას და ვერ პოულობს, აქ უმუშევართა მდგომარეობა საოცარ სურათს წარმოადგენს და ახლა ეს მდგომარეობა ისეთი შეიქნა, რომ არა თუ მუშაკლასში, არამედ მეორე კლასზეც გავრცელდა და მას ბრჭყალები ჩაასო: უმუშევრობამ: წვრილი ბურჟუაზიაც ჩაითრია მან და უმუშევართა რიცხვში წვრილ ბურჟუაზიას დიდი ადგილი უკავია. ესენი ზემოთ მოყვანილ რიცხვში არ შედიან. მათი აღრიცხვა ცალკეა. მაგრამ ის კი ნათელია, რომ ეს საზოგადოებრივი კლასიც ნადგურდება, ეცემა და პროლეტართა და უმუშევართა რიცხვს ემატება. გარდა ამისა, უმუშევართა რიცხვი მატულობს იმიტომ, რომ ამერიკის მრეწველობა თანდათანობით ეცემა, დღითი-დღე იხურება საუკეთესო ქარხნები და არამც თუ ახალი არაფერი იქმნება, არამედ იქ ძველ დამზადებულსაც ვერ ინელებენ. ეს საშინელება დიდხანს ვერ გაგრძელდება. ამით აიხსნება ის, რომ ამერიკელი კაპიტალისტები არაფერს არ ზოგავენ და ყოველგვარ ზომებს ხმარობენ. აარსებენ საზოგადოების ნაძირალთა ორგანიზაციებს იმიტომ, რომ ბურჟუაზიას ეშინია 25 მილიონ უმუშევრის აბობოქრებისა და გამოსვლისა, რომელთა მრისხანებას შეუძლია დაანგრიოს და გაანადგუროს მისი ციხე-სიმაგრე. დღეს ამერიკის წინ სდგას საკითხი ბაზრის მოპოვებისა, რომ იქ დაგროვილმა სიმდიდრემ გზა იშოვოს, უმოძრაობისაგან დაჟანგული აპარატი აამოძრავოს და უმუშევარ ხალხს სამუშაო გაუჩინოს. ამ მდგომარეობამ იქამდე მიაღწია, რომ მუშები რომელთაც აღარავითარი საშუალება აღარა აქვთ, ქუჩებში დაძრწიან და ეძებენ სახსარს არსებობისას. მოგეხსენებათ ისპანიას ომი აქვს მაროკოსთან და ამერიკელი პროლეტარები ვოლონტიორათ ეწერებიან მაროკოში წასასვლელათ. ამ ვოლონტერების რიცხვმა მაღალ წერტილს მიაღწია თვით ნიუიორკშიაც კი. მშიერი მუშები ამჯობინებენ ამერიკელ მდიდარ ქალაქის ქუჩებში სიკვდილს, ბრძოლის ველზე გასვლას და იქ ომში სიკვდილს.

ყველაზე მკაფიო სურათი დახატა ბურჟუაზიული მეცნიერების წარმომადგენელმა ფრიტიოფ ნანსენმა, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსეთის დამშეულთა დახმარების საქმეში. იგი მოითხოვდა ნაციათა ლიგისაგან დახმარებას და უკანასკნელ სხდომაზე ჟენევაში დააყენა საკითხი ასე: თქვენ გაქვთ შეძლება სიმშილისაგან სიკვდილს გადაარჩინოთ 20-30 მილიონი სული ვოლგის მხარეში. ლიგამ ამ საკითხზე დიპლომატიურად უარი სთქვა. კონფერენცია დაინიშნა და იქაც უარი დაადასტურა. ამ საკითხის შესახებ ნანსენმა ჟენევის კონგრესზე წარმოსთქვა სიტყვა და მე საჭიროდ მიმაჩნია აქ წავიკითხო ერთი ადგილი: (კითხულობს): „მე არ მჯერა რომ ევროპის ხალხებს გულხელ დაკრეფილი შეეძლოს ცქერა და ცდა, როდის გაწყდება შიმშილისაგან რუსის ხალხი. წელს კანადაში მოსავალი ისე დიდია, რომ კანადას შეუძლია სამჯერ მეტი პური გამოიტანოს, ვიდრე საჭიროა რუსეთში სიმშილთან საბრძოლველათ. შეერთებულ შტატების ხორბალი ლპება ფერმერების ბეღლებში, რადგან მათ გასაღება არ შეუძლიათ, მუშტარი არა ყავთ. არგენტინაში იმდენი სიმინდია, რომ აღარავინ ყიდულობს და მით ორთქლმავლებს ახურებენ. ამერიკაში და ჩვენში ნავთსადგურებში იმდენი გემები სდგანან უსაქმოთ და იქ კი აღმოსავლეთში 30 მილიონი იხოცება შიმშილისაგან. ფაქტებს თვალი უნდა გაუსწოროთ. ნუ თუ მთავრობებს არ შეუძლიათ ხუთი მილიონი გირვანქა სტერლინგი გადასდვან ამ საქმისათვის! მათ არ შეუძლიათ ამ თანხის შეკრება, რომელიც უდრის ნახევარს იმისას, რაც საჭიროა ერთი სამხედრო გემის ასაშენებლათ. ამერიკაში პური თავსაყრელია. მაგრამ მას არავინ იძლევა“...

აი სიმდიდრე იმ დონამდე აღწევს იქ, რომ სიმინდით მატარებლებს ათბობენ, ვინაიდან საკუთარი საჭიროება სიმინდის მოხმარებისა გადაჭარბებულია და გარეთ გასატან ბაზარს ვერ პოულობენ. ამ საოცარმა მდგომარეობამ იქამდე მიაღწია, რომ ნანსენის სიტყვა შთაბეჭდილებას აღარ ახდენს იმ ამაღლვებელ და შემაძრწუნებელ ფაქტებთან შედარებით, რომელთაც ადგილი აქვთ ამერიკაში. გაზეთებში არის მოთხრობილი რომ ამერიკა პირდაპირ ფეოდალურ წეს-

ეროვნული

განყოფილება მოთავსებულია შესაფერ ბინაზე. ამ დღეებში გადადის ქ. ახალ სენაკის 1-ლ საბჭოთა სახლში (სამ სართულიან შენობაში, რომელშიც თავსდება სამაზრო ცენტრის ყველა კულტურული დაწესებულება (მუშათა კლუბი, თეატრი, ბიბლიოთეკა და სხ.) და ინტერნატი ქ. ახალ სენაკის სკოლების და ტეხნიკუმების ღარიბ მოწაფეთათვის.

საერთოთ მაზრის მასშტაბით განათლების განყოფილების მუშაობა მიმდინარეობს შესაძლებლობის ფარგლებში მწყობრად და მიზან-შეწონილად. სხვა და სხვა დარგებში მუშაობა გამოიხატება შემდეგი სახით.

სოციალური აღზრდის დარგში.

ა საბავშო ბაღები.

განათლების განყოფილებას ძლიერ ხელს უშლის თანხის უქონლობა. მან შეძლო გაეხსნა მხოლოდ ერთი საბავშო ბაღი ქ. ახალ სენაკში, რომლისთვის აქვს დიდებული ბინა. შესაფერი ბაღით, შეიძინა უსაჭიროესი ინვენტარი.

სურსათის უქონლობისა გამო ბავშვების კვება სუსტად არის დაყენებული, ჯერ-ჯერობით ბავშვებს ეძლევა საზრდო დღეში ერთხელ ტკბილი ჩაი ხანდისხან ყველით ან ცხელი საჭმელი.

ქ. ახალ-სენაკის საბავშო ბაღში 50 მოწაფეა შესაფერ შტატით.

პირველ ხანებში მდაბიო მასა უნდობლობით უყურებდა საბავშო ბაღს პროვოკატორების რწმუნებით მას ეგონა, რომ საბავშო ბაღებში მოთავსებულ ბავშვებს რუსეთში წაიყვანენ. განათლების განყოფილებას ბევრჯერ მოუხდა საჯაროდ გამოსვლა ცრუ ხმების გასაფანტავად. მიზანი მიღწეულია. დღეს ბაღი სარგებლობს ხალხის დიდი სიმპატიით. მთხოვნელთა რიცხვიც დიდია.

თუ სათანადო ცენტრალურმა ორგანოებმა შესაფერი დახმარება აღმოუჩინა, განყოფილებას მიზნად აქვს დასახული კიდევ გახსნას მაზრაში 7 საბავშო ბაღი (სალხინო, მარტვილის, სუჯუნა, კიწია, გორდი, აბაშა, ონტოფო), ამათგან პირველ რიგში მარტვილსა, სალხინოში, სადაც შესაფერი შენობები თავისი ბაღებით მზად არის ხალხის ლტოლვა საბავშო ბაღისადმი დიდია ბევრგან გვემუდარებიან გაეხსნათ საბავშო ბაღები (ონტოფო, ნოსირი, მაცხოვრის კარი და იძლევიან შესაფერ ბინებსაც. განყოფილება თავს იკავებს, რადგან არა ყავს შესაფერი ხელმძღვანელთა კადრი და არა აქვს ბაღის მოწყობილობა; საჭიროა ცენტრმა მეტი ყურადღება მიაქციოს პერიფერიებს, სადაც მასა შედარებით უფრო ჩამორჩენილია და პროვოკაციებს დიდი გასავალი აქვს.

სამწუხაროდ ტეხნიკურ მოხერხებისა გამო განყოფილებამ ვერ შესძლო მაზრაში სკოლის ჰასაკამდის ბავშვთა რაოდენობის გამორკვევა,

ბ საბავშო მოედანი.

სოციალური აღზრდის მმართველობის გამგეს დავალებული აქვს მოაწყოს საბავშო მოედანი ჯერჯერობით ქ. ახალ სენაკსა, აბაშასა, ძველ-სენაკსა და ბანძაში,

გ) ბავშვთა თავშესაფარი.

7 ნოემბერს ოქტომბრის დიდი რევოლიუციის აღსანიშნავათ ქ. ახალსენაკში გაიხსნა თავშესაფარი 30 უპატრონო ბავშვთათვის. უსახსრობა ძლიერ ხელს უშლის მის მოქმედების გაფართოვებას.

დ) ბავშვთა უფლებრივი დაცვა.

ამ ქვეგანყოფილების მუშაობა ძლიერ შეფერხებულია ამ დაწესებულებისათვის სათანადოთ მომზადებულ პირთა და საჭირო საშუალებათა უქონლობისა გამო ეს ქვეგანყოფილება არის ჯერჯერობით მოწყობის პროცესში.

განათლების განყოფილებას არა აქვს ცნობა მაზრაში ფიზიკურად, ზნეობრივად დეფექტურ და უყურადღებო ბავშვთა რაოდენობის შესახებ, რადგანაც ამგვარ ბავშვების უტყუარი აღნუსხვა განყოფილებისთვის მოუხერხებელი შეიქნა. განყოფილებას განზრახული აქვს მაზრის რამოდენიმე პუნქტში გახსნას ამ ბავშვთათვის დაწესებულებები და კიდევაც შეუდგა მუშაობას ამ მიზნის განსახორციელებლად. მან უკვე გადადგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯი. 7 ნოემბერს ქ. ახალ-სენაკის საბავშო ბაღის შენობაში გახსნა უყურადღებო ბავშვთათვის თავშესაფარი, მაგრამ ფაქტიურად თავშესაფარის არსებობა შეუძლებელი შეიქნა, ვინაიდან თავშესაფარის არსებობისათვის საჭირო იყო მისი უზრუნველყოფა სათანადო ცოდნით აღჭურვილ თანამშრომლებით და სურსათ-ინვენტარით. განყოფილებას არ ძალუძს ადგილობრივ საშუალებით დააკმაყოფილოს თავშესაფარის ყოველგვარი მოთხოვნილება, ცენტრი კი ჯერჯერობით არავითარ დახმარებას არ იძლევა, ამრიგად განყოფილების მუშაობა ამ დარგში უნაყოფო რჩება. განყოფილებას განზრახული აქვს აგრეთვე გახსნას მაზრაში დეფექტურ ბავშვთათვის ახალშენი. ამ დაწესებულებისათვის განყოფილებას აქვს შესაფერი ბინა. საჭიროა თანამშრომლები და სურსათ-ინვენტარი.

სხვათა შორის განყოფილებამ მიიღო ზომები მცირე წლოვანების ფიზიკურ შრომიდან გაითავისუფლების შესახებ.

ე მთლიანი შრომის სკოლა.

მენშევიკურმა მთავრობამ დაგვიტოვა დანგრეული და თითქმის სრულიად განადგურებული სკოლები. გადატრიალების პირველ დღიდანვე განყოფილება შეუდგა მთელი ძალღონით სკოლების მოვარებას და გაჯანსაღებას. გაზაფხულზე მოაწყო მაზრის სამ რაიონში მასწავლებელთა კრება, რომელმაც განმარტა რა უნდა გაკეთდეს სასკოლო დარგში და რა როლი უნდა ითამაშოს მასწავლებლებმა.

განათლების განყოფილებამ თემის რევკომების თავმჯდომარეთა კონფერენციებზე გამართულ საუბრებით, ოფიციალური მოწოდებებით და მიტინგებსა და კრებებზე გამოსვლებით შექმნა სასურველი განწყობილება სწავლა აღზრდის საქმის საღ ნიადაგზე დასაყენებლად.

მაზრაში არსებობდა: ა დაბალ დაწყებითი სკოლა 127, ზოგად განათლების 315, 19 ხელსაქმის და 1 ტანვარჯიშობის მასწავლებლით.

ბ) 20 უმაღლეს დაწყებითი სკოლა, 129 ზოგად განათლების, 14 ხელსაქმის, 7 ტანვარჯიშობის, 2 გალობის და 1 მუსიკის მასწავლებლით.

თანახმათ მთლიანი შრომის სკოლის ახალი დებულებისა, გაერთიანებულ იქნა 20 უმაღლეს დაწყ. და 21 დაბალ დაწყებითი სკოლა, გამოყოფილ გიმნაზიის პირველ 4 კლ. და შეუერთდა დაბალ დაწყებითი სკოლას.

ყველა არსებული დაწყებითი სკოლა გადაკეთდა შრომის მთლიან სკოლებად.

გაიხსნა—15 ახალი სკოლა. მიემატა მე-5-6-7 კლასები—15—სკოლაში. ახალი კომპლექტები 27—სკოლას. განყოფილების განზრახვით უნდა გახსნილიყო 39 ახალი—სკოლა, არსებულ სკოლებს კომპლექტები უნდა მომატებოდა 113 განზრახული კომპლექტების მომატება და ახალი სკოლების დაარსება გრძელდება. განზრახვის სისრულეში მოყვანას აბრკოლებს მასწავლებელთა კადრის უყოლობა და ბინისა და ინვენტარის უქონლობა. საზომად არის მიღებული, რომ მაზრის თითოეულ სოფელში უსათუოდ იქნეს გახსნილი—არა ნაკლებ ერთი სკოლისა, ხოლო თემში ერთ სკოლას მაინც უნდა ჰქონდეს მე—5 და მეტი კლასები.

ამჟამად მაზრაში არის 141 მთლიანი შრომის სკოლა, მათში სრული რვა კლასიანი 17 5—6—7 კლასიანი—19 და ოთხ კლასამდე 105—მთლიანი შრომის სკოლებში პედაგოგიური შემადგენლობა შემდეგია: გამგეებად არიან უმაღლეს განათლების 2, საშუალო განათლებით 41, დრ. გამგეებათ დაბალ განათლების 98, ზოგად განათლების საგნების მასწავლებლად: უმაღლეს განათლებით 4, ინსტიტუტიდან—3, სემინარიიდან—41, გიმნაზიიდან—91, დაბალი 329, ხელსაქმის მასწავლებლად—33, ტანვარჯიშობის—2, გალობის—2, მუსიკის—2 და აქიმი 1, სულ 507 მასწავლებელი.

ამათგან პედაგოგიური ცენზით 372 მასწ. უცენზო—96.—მთლიანი შრომის სკოლებში დაინიშნა 161 ახალი მასწავლებელი, გადმოყვანილ იქნა—სხვა მაზრებიდან—8, მაზრაში გადაჯგუფებულ იქნა 80 მასწ. სხვა და სხვა მიზეზებისა გამო—სამსახურიდან განთავისუფლებულ იქნა 19 მასწ.

არსებულ მთლიანი შრომის სკოლებში მასწავლებლის, თავისუფალი ადგილია 37, გახსნილ და კომპლექტ მოსამატებელი—სკოლებში კი 110—სულ 147.

მთლიანი შრომის სკოლის დარგში განათლების განყოფილების მთავარი—ყურადღება იყო მიქცეული სკოლების პრესტიჟის აღდგენასა და მათი მოწაფეებისაგან განტვირთვაზე. ტრადიციულად ხალხი აწყდება მაზრის საუკეთესო პუნქტებში არსებულ სკოლებს, მასწავლებლებიც იქითკენ ისწრაფვიან ადგილის საშოვნელად. ასეთ სკოლებს სოფლებში ეძახიან „დიდ სკოლას"—და მის დასახმარებლადაც მზად არიან. „პატარა სკოლები", მივიწყებულია.

დიდ სკოლებში თავს იყრის უმეტეს ნაწილად ბობოლა გლეხების და მდიდრის შვილები, ხოლო „პატარა სკოლებში" რჩება ღარიბ გლეხების და მუშის შვილები თავის ღარიბულმოწყობილობით. ზოგიერთ დიდ სკოლებში დაგროვილ იყვნენ აუარებელი მოწაფეები (დ. აბაშის, მარტვილის განყოფილებამ ბოლო მოუღო ამას: გასცა განკარგულება, რათა ყველა მოწაფე გამგზავრებულიყო თავის სამშობლო სოფლის სკოლებში. განკარგულება მტკიცედ არის დაცული და სავსებით გატარებული. ნაყოფი დიდია—სოფლის მცხოვრებნი შეუდგნენ თავის კუთხის—სკოლებზე—ზრუნვას.

განსაკუთრებულ მდგომარეობისა გამო განათლების-განყოფილების დადგენილებით სკოლებში იღებენ 7—10 წლის მოწაფეთ პირველ კლასში, რომელთა რიცხვი თითეულ კლასში განისაზღვრება 40—50 თ.

მაზრის ყველა მთლიანი შრომის სკოლებში დაახლოებით ირიცხება 18,484 მოწაფე ტეხნიკურ დაბრკოლებებისა გამო განყოფილებამ ვერ შესძლო სწორი ცნობების შეკრება.

განყოფილებას არ აქვს სრული ცნობები სასკოლო-ჰასაკის ბავშთა რაოდენობაზე. ცნობები მოგვაწოდა 23 თემმა, სადაც სასკოლო ჰასაკის მოწაფეთა რიცხვი უდრის 5181. დარჩენილია 13 თემი, სადაც დაახლოებით იქნება 3,090-მდე.

სკოლებს დაურიგდა განათლების განყოფილების მიერ დაბეჭდილი მთლიანი შრომის სკოლის დებულებები, გაკვეთილების ცხრილი და პროგრამები. სამწუხაროდ პროგრამები მივიღეთ ცენტრიდან მხოლოდ 120 ც., რაც არ ყოფნის ყველა სკოლას. საჭიროა კიდევ 60-ც.

განათლების განყოფილებამ უკვე მოაწყო ერთი საზაფხულო ახალშენი მოწაფეთათვის, აგრეთვე ავათმყოფ მოწაფეთათვის სანატორიები.

ა ტეხნიკუმები. პროფესიონალური განათლების დარგში.

მაზრაში არსებობს 5—ტეხნიკუმი, რომელნიც გადაკეთებულია 4 გიმნაზიიდან და 1 სემინარიიდან.

3 ტეხნიკუმი არის შერეული (ქალვაჟის), ხოლო დანარჩენილი 2 ტეხნიკუმის მხოლოდ პირველი კლასებია შერეული. 3 ტეხნიკუმი სრულია, ხოლო 2 სამკლასიანი.

ყველა ტეხნიკუმში ირიცხება 23 მასწავლებელი, მათში 21 ზოგადი.

განათლების საგნების და ორი სპეციალურ ტეხნიკუმებში დიდი ნაკლებობაა მასწავლებლობის, რის გამო თითო მასწავლებელს უხდება კვირაში 30—40 გაკვეთილის მიცემა.

ტეხნიკუმებს ჯერ არ აქვს მიცემული სპეციალური მიმართულება. განყოფილება კი-უცდის ცენტრიდან ინსტრუქციებს. სენაკის მაზრაში იარსებებს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო და ჰუმანიტარული (პედაგოგიური მიმართულებით) ტეხნიკუმები.

მოწაფეთა რიცხვი ყველა ტეხნიკუმებში-უდრის 763 ს. განზრახულია მომავალში გაიხსნას ტეხნიკუმები სალხინოსა და გორდში, სადაც ამისათვის ხელსაყრელი პირობები არის (ყოფილ მიურატის ბინები და მამული).

ბ სამეურნეო სკოლები.

მაზრაში არის 2 სამეურნეო სკოლა დაბალი ტიპისა. ერთი არის სრული, ხოლო მეორე 3-კლასიანი. ორივეში ირიცხება 9 მასწავლებელი და 130 მოწაფე. არის ნაკლებობა ზოგად განათლების და სპეციალური საგნების მასწავლებლებისა.

მომავალი სასწავლო წლიდან ორივე სკოლა გადაკეთებული იქნება ტეხნიკუმებად.

გ) საფეიქრო სკოლები.

თებერვლის გადატრიალებამდე არსებობდა 2 საფეიქრო-სკოლა (ერთი კერძო), რომელთაც სრულად არ ქონდა ჩამოყალიბებული პროფესიონალური სკოლის სახე. დღეს ისინი ჩამოსხმულია განსაზღვრულ ფორმაში. მიღებულია ერთი წლიანი კურსი ზოგად განათლების განყოფილებით. ქ.-ახ.-სენაკის საფეიქრო სკოლასთან იხსნება განსაკუთრებული სახელოსნო, სადაც იმსახურებენ საფეიქრო სკოლაში კურს დამთავრებულნი.

სკოლაში მიიღებიან მოწაფენი ორივე სქესისა არა ნაკლებ 15—წლისა.

ორივე სკოლაში ირიცხება-ჯერჯერობით 4 მასწავლებელი და—29 მოწ. საკუთარი ბინა არც ერთ სკოლას არა აქვს. თავისუფალია რამოდენიმე მასწავლებლის ადგილი.

კიდევ უნდა მოეწყოს 3 საფეიქრო სკოლა (დ. აბაშა, ბანძა და სალხინო.

დ) ჭრა-კერვის სკოლა.

არსებობს სხოლოდ ერთი (იყო კერძო, მასაც ჰქონდა გაურკვეველი სახე. დღეს მიღებულია 3 წლის კურსი ზოგად განათლების განყოფილებით. ირიცხება 3 მასწავლებელი და 37 მოწაფე. რამოდენიმე მასწავლებლის ადგილი აქაც თავისუფალია. საკუთარი ბინა და ინვენტარი არა აქვს.

პროფესიონალურ განათლებას მიქცეული აქვს ჯეროვანი ყურადღება, მაგრამ სათანადო მომზადებულ პირთა უყოლობისა გამო მუშაობა ფერხდება.

სენაკის მაზრის განათლების განყოფილების გამგე ვ. ქობულია-

წყობილებას უბრუნდებით. იქ კაცის გაყიდვა დღის წესრიგში სდგას. ადამიანი იქ საქონლათ არის გადაქცეული. ავერ მოვახსენებთ ფაქტს. (კითხულობს კორესპონდენციას იმის შესახებ, თუ როგორ იყვნენ გაყიდული ქ. ბოსტონში აუქციონში 10 უმუშევარი, ყოფილი ამერიკის ჯარისკაცნი. ისინი გამოიყვანეს სრულიად შიშველნი და როგორც პირუტყვს დაუწყეს შეფასება, რის შემდეგაც გაიყიდენ მხოლოდ საჭმელში და ბინაში...)

მე მგონია, რომ ეს ფაქტი მუშების გაყიდვისა, ეს საოცარი ამბავი ამერიკაში—ამ კულტურისა და ცივილიზაციის ქვეყანაში, დიდად დამაფიქრებელი და ბევრის მაჩვენებელია. მე მინდა რამდენიმე ციფრები მოვიყვანო ამერიკის შინაურ ეკონომიურ ცხოვრების დასასურათებლად. მე მოვიყვან ცნობებს ოქროს რაოდენობის შესახებ. სერ-გორნი ინგლისის პარლამენტში ამბობს რომ მთელი ოქრო რომ ავიღოთ, სხვა და სხვა სახელმწიფოებს შორის ასე არის განაწილებული: იტალიაში არის 41,2 მილიონი გირვანქა სტერლინგი, გერმანიაში 53-ნახევარი მილ. გირ. სტ., იაპონიაში 131,2 მილ. გ. სტ., საფრანგეთში 141,6 მილ. გ. სტ., ინგლისში 155 მილ. გირვან. სტერ., შეერთებულ შტატებში 632,4 მილ. გირ. სტ. თქვენ ხედავთ, რომ მთელი ოქროს თითქმის ორი-მესამედი დაგროვილი ყოფილა ამერიკაში და სწორედ ამ ქვეყანაში, სადაც ამდენა ოქრო არის დაგროვილი აუქციონში ყიდიან მუშებს. კონცენტრაცია კაპიტალისა ამერიკაში უმწვერვალეს წერტილს აღწევს. კომუნისტურ გაზეთში „უორკერს დრედნაუტ" მოყვანილია სტატისტიკური ცნობები კაპიტალის კონცენტრაციის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტაბტებში სათვითეულოდ 50 ოჯახს უწევს 100 მილიონი დოლარი, 100 ოჯახს—50 მილიონი, 500 ოჯახს—10 მილ. დოლ. მათზე ზევით ჯგუფებს გაცილებით მეტი, მაგ, როკველეის აქვს სამი მილიარდი დოლარი. აქედან თქვენ ხედავთ, რომ მთელი ეს ოქრო მოთავსებული არის მცირე ჯგუფის ხელში და მასები კი მონურ მდგომარეობაში იმყოფებიან. კაპიტალისტურ წყობილების წინააღმდეგობანი ამაზე შორს ვეღარ წავა. აქედან მის დანგრევამდე დიდი მანძილი აღარ არის. ვერავითარი მეცნიერება ვერ დაგვიმტკიცებს იმას, რომ ასეთ მდგომარეობიდან შეიძლება რაიმე გამოსავალი გარეშე სოციალისტურ წარმოებითი და სახელმწიფოებრივი ფორმის შექმნისა.

მე მოვიყვანე აქ ციფრები ამერიკის ექსპორტის და იმპორტის შესახებ, საიდანაც ირკვევა რომ რკინეულის და სხ. ასეთ მადნეულის დამუშავების წარმოება თანდათან ეცემა, აგრეთვე ეცემა თუჯის და ფოლადის წარმოება. მთელი ამ ქვეყნის ეკონომიური კრიზისი და კატასტროფა სავსებით ცხადია. ეს მდგომარეობა ამერიკისა, რომელიც ეხლა უმთავრეს როლს თამაშობს ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში, გამოწვეულია იმით რომ მას არა აქვს ბაზარი. უდიდესი სახელმწიფოები იმდენად დასუსტდნენ, რომ მათ ვაჭრობის საშუალებანი აღარ მოეპოებათ. ასეთია მაგ. რუსეთი, ოსმალეთი, გერმანია, ავსტრო-უნგრეთი და რამოდენიმე წვრილი ქვეყნები. ეს ქვეყნები როგორც მომხმარებლები აღარ არსებობენ. რუსეთმა დაიწყო ვაჭრობა ცოტაოდნათ დასავლეთ ევროპასთან. ამის შესახებ შემდეგ მოგახსენებთ. ასე რომ ერთის მხრით დაგროვილია აუარებელი სიმდიდრე ერთ სახელმწიფოს საზღვრებში და მეორეს მხრით არ არსებობს მისთვის ბაზარი. ეს ძირითადი წინააღმდეგობა კაპიტალისტურ წესწყობილებისა, მას ისტორიული აუცილებლობით მიიყვანს იქამდე რომ იგი აუცილებლათ დაინგრევა, იმიტომ რომ ისტორია უკან არას დროს არ ბრუნდება და თავიდან არ იწყებს თავის მსვლელობას. თქვენ ხედავთ რომ ბაზარი აღარ არსებობს, არ არსებობს განსაზღვრული ნორმები, წესი და არავის არ შეუძლიან სისწორით გამოიანგარიშოს მოგების და წაგების ბალანსი. სრული ანარქია არის გამეფებული წარმოების საქმეში. კაპიტალისტური წარმოების ფორმა აქ აღწევს უსაშინელეს მდგომარეობას. თუ აქამდე საქონელი უკარნახებდა ადამიანს, მაგრამ მას შეეძლო მაინც მისი გაგება რამოდენიმეთ, დღეს ეს საქონელი ისეთ ენაზე ლაპარაკობს, რომ მისი გაგება ყოვლად შეუძლებელი ხდება. აი ლოიდ ჯორჯის სიტყვა 5 ოქტომბერს წარმოთქმული: (კითხულობს „როგორ შეიძლება სავაჭრო ფასების დაწესება—დღევანდელ პირობებში, როცა ერთის დღის განმავლობაში ასეთი საოცარი ცვლილებები ხდება. ეს ისე შეუძლებელია, როგორც ზღვის ღელვის დროს გემზე ბილიარდის თამაში. არავის არ შეუძლია სთქვას სად მოხდება ბილიარდის ბურთი, ვერავინ ვერ იტყვის, რომ ის სრულებით არ გადავარდება რაც ყველაზე უფრო შესაძლებელია".

(დასასრული იქნება).

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

განკარგულება.

ფინანსთა სახალხო კომისარისა.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის 26 ივლისს დამტკიცებული დეკრეტის № 61 მე-3-ე ნაწილის თანახმად, სარეწავი გადასახადის გაწერა—აკრეფისათვის, ფინანსთა სახალხო კომისარი ადგენს შემდეგ წესრიგს და ვადებს:

1) სავაჭრო-სამრეწველოს პატრონები და ყველა ის პირნი, რომლებიც ეწევიან სავაჭრო ოპერაციას ბინის უქონლად, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ რეგისტრაციისათვის სათანადო რაიონის საგადასახადო განყოფილებაში, არა უგვიანეს 1-ლ იანვრისა.

2) საგადასახადო განყოფილებათა გამგეთ 1-ლ მუხლში აღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ ევალება: ა) შეუდგინონ ოქმი სარეგისტრაციოთ გამოუცხადებლობისათვის, სავაჭრო-სამრეწველოს პატრონებს და ყველა იმ პირთ, რომლებიც ეწევიან სავაჭრო ოპერაციას ბინის უქონლად.

ბ) დააჯარიმონ ბრალდებულნი დანაშაულობის მიხედვით ხუთ მილიონ მანეთამდე.

გ) წინადადება მისცენ ადგილობრივ მილიციის აგენტებს დაუყონებლივ დაუკეტონ ბრალდებულთ სავაჭროები, და გაუხსნან ასეთი მხოლოდ დადებული ჯარიმის ხაზინაში შეტანის შემდეგ და დ) ოქმის პირი გაუგზავნონ პირდაპირ გადასახადთა განყოფილებას.

3) რაიონის საგადასახადო განყოფილების დადგენილებებზე, ამ განკარგულების 1 მუხლის დარღვევისათვის პასუხის გებაში მიცემის შესახებ, ბრალდებულთ შეუძლიანთ შეიტანონ საჩივარი ფინანსთა სახალხო კომისარიატის პირდაპირ გადასახადთა განყოფილებაში არა უგვიანეს ორი კვირის ოქმის შედგენის და ჯარიმის რაოდენობის გამოცხადების დღიდან. საჩივრის შეტანა არ აფერხებს დადებულ ჯარიმის გადახდას.

4) გადამხდელთა დაბევრამ სარეწავი გადასახადით და საგადასახადო ფურცლების დაგზავნა უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 1-ლ ივნისისა.

5) აღრიცხული გადასახადი უნდა იქნეს შეტანილი ხაზინაში არა უგვიანეს 1 ივლისისა.

სარეწავი გადასახადით უსამართლოდ დაბეგვრისათვის, გადამხდელთ შეუძლიან შეიტანონ გასაჩივრება რაიონის საგადასახადო საკრებულოებში არა უგვიანეს 1 ივლისისა.

7) რაიონის საგადასახადო საკრებულოების დადგენილებზე, მათგან განსაჩივრების განხილვის შემდეგ, გადამხდელთ შეუძლიან შეიტანონ საჩივარი, ზემოაღნიშნულ საკრებულოთა საშუალებით, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ საგადასახადო სათათბიროში, არა უგვიანეს ორი კვირისა, დღიდან საკრებულოების დადგენილების პირის მიღებისა.

8) რაიონის საგადასახადო საკრებულოებს ევალებათ კლასიფიკაციის პროექტის შედგენა ბრუნვიდგან მიღებულ მოგების ნორმალურ პროცენტების და ასეთის (კლასიფიკაციის პროექტის) წარმოდგენა ფინანსთა კომისარიატის პირდაპირ გადასახადთა განყოფილებაში დასაბუთებული მოხსენებით არა უგვიანეს 1-ლ მარტისა.

9) იმ საჩივრების განსახილველად, რომლებიც იქნებიან შეტანილნი, პირდაპირ გადასახადთა განყოფილებაში, ზედამხედველობის მხრივ და რაიონის საგადასახადო განყოფილებების გამგეთა დადგენილებებზე სარეგისტრაციოთ გამოუცხადებლობისათვის, და აგრეთვე კლასიფიკაციის პროექტების განსახილველად და დასამტკიცებლად, აღნიშნულ განყოფილებაში უნდა შესდგეს საკრებულო პირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგის თავმჯდომარეობით მისი თანაშემწის ქვეგანყოფილებათა გამგების და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის მონაწილეობით.

ფინანსთა სახალხო კომისრის
მოადგილე **ბ. ბიბინეიშვილი.**
პირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე **ბეზირგანიშვილი.**
3 დეკემბერი 1921 წ.
ქ. თბილისი.

განკარგულება.

ფინანსთა სახალხო კომისარისა.

ფინანსთა სახალხო კომისარი ამით აცხადებს სარეწავი გადასახადის გადამხდელთა საყურადღებოთ, რომ იმ პირთ, რომლებთაც საგადასახადო ფურცლები დაეგზავნათ მიმდინარე წლის 1-ლ დეკემბრისათვის რაიონის საგადასახიდო განყოფილებების მიერ, აღნიშნულ ფურცლებში ნაჩვენები გადასახადის რაოდენობა უნდა შეიტანონ ხაზინაში არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 დეკემბრისა (ინსტრუქცია მიმდინარე წლის 6 ავვისტოდგან). ის პირნი, რომლებიც განზრახ არ შეიტანენ ამ გადასახდს ნაჩვენებ ვადაში, გარდა გადასახადის იძულებითი საშუალებითი გადახდევინებისა, იქნებიან მიცემულნი პასუხის გებაში რევოლიუციონურ ხანის კანონების მიხედვით.

5 დეკემბერი 1921 წ.

ფინანსთა სახალხო კომისარის
მოადგილე **ბ. ბიბინეიშვილი.**
პირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე **ბეზირგანიშვილი.**

ცირკულიარი.

მიწათ-მოქმედების კომისარიატის სატყეო განყოფილებისა ყველა სამაზრო მიწათ-მოქმედების განყოფილებებს (სატყეო ქვეგანყოფილებათათვის) ა. წ. 29 ნოემბრის № 4650.

დამატებით ცირკულიარისა 14 ოქტომბრის თარიღით № 3810 ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეებით სარგებლობაზე, თანახმად მიწათ-მოქმედების კომისარიატის კოლეგიის დადგენილებისა 29 ამა თვის თარიღით, გატყობინებთ: ა) იმ რაიონებში, სადაც მახლობლათ მდებარეობს სახელმწიფო ტყეები, უტყეო-ულარიბეს მცხოვრებთა სათბობ-საშენი ტყის მასალა ეძლევათ საერთო წესით მიწათ-მოქმედების კომისარიატის ა. წ. 26 ოქტომბრის № 4124 ცირკულიარის მიხედვით, ხოლო იმ რაიონებში—კი, სადაც დაახლოვებით არ არის სახელმწიფო ტყეები. ულარიბეს უტყეო მცხოვრებთა და ადგილობრივ დაწესებულებათათვის საჭირო ხე-ტყის მასალა უნდა მოიჭრას იმ კერძო პირთა სარგებლობაში მყოფ ტყეებიდან, რომელთა სივრცის საერთო რაოდენობა აღემატება საშუალო ნორმებს, ადგილობრივ პირობების მიხედვით.

შენიშვნა: ზემო აღნიშნული მთხოვნელთა დასაკმაყოფილებლათ საჭირო მასალის მოსაჭრელი ნაკვეთების გამოყოფა, კერძო პირთა სარგებლობაში მყოფი ტყის ნაკვეთებიდან ევალება სამაზრო მიწათ-მოქმედების განყოფილებას, რაიონის რევკომის და ადგილობრივ რევკომთა წარმომადგენელთა ერთად.

ბ) ტყით სარგებლობა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ შინაური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დაშვებული, რომ ტყით სარგებლობამ მიიღოს წარმოებითი ხასიათი.

სატყეო განყოფილების გამგე **ს. ბაქრაძე.**

განყოფილების გამგე
ნ. ბრეგვაძე.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღის ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—ავანოს ქუჩა.

— საქ. ახალგაზ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

პარტიული

— ორშაბათს 12 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში ამხ. შ. დუდუჩავა წაიკითხავს საჯარო ლექციას შემდეგ თემაზე „იმპერიალიზმი და მსოფლიო რევოლიუციის პერსპექტივები".

საქ. ახალგ. კომკავშირის ც. კ.

— მე-4-ხე რაიკომის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ქვევით ჩამოთვლილ „იაჩეიკების" მდივნებს პარტიული დისციპლინის წესით გამოცხადდენ 9 დეკემბერს დღის 12 საათზე რაიკომის შენობაში: № № 2, 3, 7, 9, 13, 14, 15, 16, 20, 24, 26, 29, 31, 32, 35, 36.

საბჭოთა.

— ამით ვაცხადებ ყველა მტკვრის მარცხენა ნაპირის მხარეზედ მცხოვრებ აბონენტების საყურადღებოთ, რომ ვინაიდან კირკის ქუჩაზე ამა წლის 10 დეკემბერს დღით პარასკევს უნდა გადაიჭრას 100 წყვილიანი ჯირგინი კაბელი) და გადაყვანილ იქნას შეკეთებულ 800×2 ჯირგინში, რის გამო რაიონებში: ჩერქეზიშვილის ქუჩის და ნაძალადევის ტელეფონების მოქმედება დროებით შესწყდება, რომელიც დაახლოვებით გასტანს 10 დღემდე, რის შესახებ წინადვე ვაფრთხილებ პატივცემულ აბონენტებს.

ტელეფონის ქსელის გამგე **იაჭკონი.**

ტირაჟი 10,00 ნ. დ. ს. ც.
საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა, კრუზენშტეინის ქ., № 5.